ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 20 დეკემბერი № 1676

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

თავადი იოსებ შალვას ძე ნიჟარაძე და მეუღლე მისა კნეინა ნინო ზაქარიას ასული ნიჟარაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებასა ძვირფასის ასულისა თვისისა **კნიაჟნა**

ქეთევანისას

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გასვენებაზე, 20 დეკემბერს, დილის 10 საათზე. ვაგზლის ქუჩა, სახლი № 6. მიცვალებულს გაასვენებენ ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში, პანაშვიდი ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე. (2—2)

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	
1 წლით	10 მ.
6 თვით	6 „
„	3 „

საზღვარ გარეთ:	
1 წლით	18 მ.
6 თვით	7 „
3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	
1 წლით	6 მ.
6 თვით	4 „
1 „	75 „

საზღვარ გარეთ:	
1 წლით	11 მ. — კ.
6 თვით	6 „ 50 „
1 „	1 „ 10 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა აქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება საშივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—**10 კაპ.**, მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ. въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუეევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✡ **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და ამუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (ნ. 0—38)

ფარმაცევტების

ტელეფონი № 741.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „**ფარმაცევტების გარდა** სხვებსაც შეუძლიანთ წევრებად ჩაწერა თუ არაო? ან კიდე: „ქალებს მიიღებთ წევრად თუ არაო?“

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დაავარსეს ეს ამხანაგობა, წევრებად კი ყველანი მიიღებიან განურჩევლად სქესისა. პაი ღირს ხუთი თუმანი. მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.

ამხანაგობის დეპო და გამგეობა იმყოფება ტფილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალიხანიშვილის სახლში. განყოფილება სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество Фармацевтовъ. (100—67)

ტელეგ. ადრ. Тифлисъ. „Фармацевтика.“

ხუთშაბათს, 20 დეკე **ქართული თეატრი** **მბერს 1901 წელს**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესები

I

პედაგოგები

კომედია 3 მოქ. ოტტო ერნსტისა თარგ. დ. ნახუცრიშვილისა.

II

თაიგული

კომედია 1 მოქ. გადმოკეთებული არ. ქუთათელაძის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანოვი, სარჯველაძე, იმედაშვილი, წუწუნავა და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

მზადდება წარმოსადგენად „**მუზმუზელა**“, „**თამარ-ბატონიშვილი**“ და „**ორი ჯიბგირი**“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ამ ნომერში ექვსი გვერდია

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. ჯიჯიხაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. გ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე,

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

ბ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოლები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) **ტელეფონი № 274.** (წლ.)

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში:

საქართველოს რუსეთთან შეერთება

(რუსულად)

მახ. ხელთუფლიშვილისა,

ფასი 40 კაპ.

ვინც ნაღდ ფულზე გამოიწერს არა ნაკლებ ათ ცალს, წიგნი დაეთმობა 30 კაპ. და ჩვენი ხარჯითაც გაეგზავნება—ადრესი. ქუთაისი, ალ. ჯაბიძე. (5—ნ.—5)

ე ქ ი მ ი

იაკობ ზაქარიას ძე

გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე, შინაგანის და ათაშანგის ავადმყოფობით. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85 (0—7)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

18 დეკემბერი

პეტერბურგი. 18 დეკემბერს პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგისა და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული ბრძანდებოდნენ „მოწყალების დების“ სახლში.

18 დეკემბერს სადღესასწაულო აქტი იყო საიმპერატორო საექიმო აკადემიაში. დაესწრნენ: სამხედრო მინისტრი, საერო განათლების მინისტრის ამხანაგი ზენგერი, მრავალნი წარმომადგენელნი სამეცნიერო, საადმინისტრაციო და საექიმო დაწესებულებათა, სტუდენტები და ექიმები. წელს ექიმად გამოსულა 132 კაცი, ამათგან 10—აკადემიაში დაუტოვებიათ.

ბელგრადი. სერბიის ელჩი ცეტინიეში პოდპოლკ. ანტონიჩი სამხედრო მინისტრად დაინიშნა; სამხედრო მინისტრი მალიკოვიჩი კი სამსახურიდან დაითხოვეს.

ჰააგა. რუსეთის მთავრობამ აცნობა სახელმწიფო საბჭოს წევრს სამედიატორო სასამართლოს მსაჯულს ასსერს საქმე იმ დავის შესახებ, რომელიც ჩამოვარდა რუსეთსა და შეერთებულ შტატების შორის ბერინგის ზღვაში ზღვის კატებზე ნადირობის გამო.

პენზა. განიხილეს სარანის ხამაზრო საერობოს ყოფილის თავმჯდომარის ლილიენფელდის პროექტი რუსეთის საყოველთაო სამეურნეო ბანკის დაარსების შესახებ. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა: კრება მეტად საჭიროდ სთვლის ამგვარ დაწესებულების დაარსებას, მაგრამ თანახმა არ არის პროექტის ზოგიერთ ნაწილებისა; საჭიროდ სთვლის ამ პროექტზე მიაქციოს მთავრობის ყურადღება და ყოველ მხრივ განიხილოს ის მოკლე ხანში.

ნიცა. მოვიდა კრეისერი „პერესვეტი“, რომელზედაც ბრძანდება დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე. ხვალ კრეისერი პირეიში წავა.

პეკინი. აქაურ ჩინურ გაზეთების სიტყვით, ნიანფუში, კანსუს პროვინციაში, მოკლულ იქმნენ ფრანგი მისსიონერი და მრავალი მონათლული ჩინელი. ამ ამბის შესახებ ჯერ არავითარი ცნობა არ მოსულა.

ამბობენ, რომ ჩინეთის სამეფო ოჯახი 25 დეკემბერს სისწრაფით წავა პაოტინფუში, რათა იქიდან დაბრუნდეს პეკინში.

კიევი. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების მმართველობას შეუძენია სამიტროპოლიტო სახლის მმართველობისაგან 296 ათას მანათად 42 დესეტინა მიწა კიევში საქონლის სადგურის გასადიდებლად

სარატოვი. საგუბერნიო საერობო კრებამ, გუბერნატორის წინადადების თანახმად, განიხილა სხვა-და-სხვა ღონისძიებანი სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის და დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გადაეცეს ერობას ამ ღონისძიებათა ასასრულებლად საადგილ-მამულო გადასახადი.

როსტოვი დონზე. ვოლგა-კამის ბანკის განყოფილებამ 15 დეკემბერს კიევის განყოფილების ყალბად შედგენილი ქაღალდით ვიღაც იზმაილოვს 30 ათასი მანეთი მისცა

ვოლოგდა. საბჭომ თავადი მიხეილ ივანეს ძე ხილკოვი და დიმიტრი მარტინის ძე ხოლსკი ქალ. ვოლოგდის საპატიო მოქალაქედ აირჩია.

ტვერი. თავად-აზნაურობის გუბერნიის წინამძღოლად ვსევოლოჟსკი აირჩიეს.

ასტრახანი. ბირჟის ვაჭრებმა დაადგინეს: გზათა მინისტრს ვსთხოვოთ, რომ მდინარე ვოლგაზე კასპიის ზღვიდან ვიდრე სარატოვამდე გემთა მიმოსვლის საქმე გაუმჯობედეს, სავაჭრო კომისია დაწესდეს და გლეხთა განთავისუფლების შემდეგ 40 წლის შესრულების სახსოვრად გლეხების ბავშვებისათვის სკოლა აშენდეს.

მოსკოვი. მოსკოვის სამოსამართლო პალატამ 18 დეკემბერს საპატიო მოქალაქის სავინოვის ანდერძის საქმე გაარჩია. სავინოვს 250,000 მანეთი ეანდერძნა ყველა წოდების ღარიბ გასათხოვარ ქალებისათვის. პალატამ დაამტკიცა ეს ანდერძი.

ვარშავა. პეტერბურგის საიმპერატორო ოპერის არტისტმა ქალმა ბოლსკამ სთხოვა თავრობას, ნება მომეცით ვარშავაში გარდაცვლილ კომპოზიტორს შოპენს ძეგლი და-

უდგაო. ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა უპასუხა: თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებლად მიმაჩნია, მხოლოდ იმ პირობით, რომ განსაკუთრებული კომიტეტი დაარსდესო, ეს კომიტეტი გენერალ-გუბერნატორმა უნდა დამტ[illegible] რულებაც მარტო კომპოზიტორის პატივისმცემელთა შორის შეიკრიბოსო. გაზეთებში გამოცხადება ამ ფულის შეკრების შესახებ არ შეიძლებაო.

ბამბის ფაბრიკების პატრონთა სინდიკატს განზრახვა აქვს ჩითეულობის ფასს 20 % მოუმატოს.

(სადამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ხალხის მოსამხრობად ლიბერალ-იმპერიალისტს როზბერის საჭიროდ მიაჩნია ზოგიერთი რეფორმა მოახდინოს: მუშებისათვის იაფი სადგომები ააშენოს, ლოთობა შეამციროს და განათლება გააძლიეროს. «რუსსკია ვედომ.»-ის კორესპონდენტის აზრით, ხალხი როდი დაკმაყოფილდება ამისთანა რეფორმებით. ეს ხომ გუშინ მოგახსენეთ. ამის შემდეგ კორესპონდენტი განაგრძობს: ეს რეფორმები არც თუ რიგზე იქნება შესრულებული. ახალი დასი ლენდლორდების (მემამულეების) წყენას მოერიდება, ამისთვის კი ღარიბი ხალხის სადგომებს ისე ვერ გააუმჯობესებენ, როგორც საჭიროა. ლიბერალ-უნიონისტებისა და ლიბერალ იმპერიალისტების შეერთებული დასი ძალიან ძლიერ «არყისა და ლუდის მეფეებსაც» (რაც ინგლისში სასმელი დუქანია, სულ ამ მეფეებს ეკუთვნის) ვერ გადაიკიდებს. ამიტომ ლოთობის მოსპობაშიაც შესაფერისს ღონისძიებას ვერ მიიღებს. ამას კიდევ ის დაუმატეთ, რომ ფინანსისტებს და მრეწველებს სულ სხვა-და-სხვა ინტერესები აქვთ, ასე რომ ამ დასში მალე განხეთქილება და უთანხმოება ჩამოვარდება.

ეხლა ვნახოთ, იმზე რაღა თქვა როზბერიმ. ეხლანდელი მინისტრები სხვა-და-სხვა კილოზე სულ ერთსა და იმავეს გაიძახიან: არაფერი პირობის მიცემა არ შეგვიძლიან; ბურებმა იარაღი უნდა დაჰყარონ და მერე როგორც მოვიქცევით, ის ჩვენ ვიცითო! როზბერი კი უფრო შერიგების მომხრეა. პირველ-მინისტრად ნამყოფი ურჩევს მთავრობას, რომ ზავზე მოლაპარაკება რესპუბლიკების მთავრობასთან უნდა გაიმართოს და არა გენერლებთანაო, რესპუბლიკების დამოუკიდებლობა სამუდამოთ მოისპოს, მაგრამ ბურებს ისეთი სრული თვით-მართველობა უნდა მიეცეს, როგორიც კანადას აქვს. კაპელ ბურებს, თუ რესპუბლიკელებს ყოველი დანაშაული უნდა აპატიოს და დამწვარი ფერმებისა და დახოცილი საქონლის საზღაური ყველას ჯეროვნად მიეცეს. რაც უნდა ბედოვლათურად მოვიქცეთ, რაც უნდა დიდი ფული გადაუხადოთ დაზარალებულ ბურებს, მაინც ომსა და ბრძოლას კიდევ ეს ემჯობინება. ორატორის აზრით, სამხრეთ-აფრიკის უმაღლესი კომისარის მილნერის გადაყენება არას დროს არ შეიძლება; როზბერიმ ჯერ დიდი ბრალი დასდო ჩემბერლენს: თუ ევროპა ამ ბოლოს დროს ასე გადაგვეკიდა, ეს სულ ჩემბერლენის ჭარტლიანი ენის ბრალიაო. მერე კი ისევ შეაქო და თქვა, უმისოდ სამინისტრო ითლას ვერ წავა და ამიტომ კოლონიების მინისტრის დათხოვნა შეუძლებელი საქმეაო.

როზბერის ნათქვამს ზოგი პატრიოტული გაზეთი თანაგრძნობით მიეგება, ზოგი აღტაცებით, «ტაიმს»-მა მოწინავე წერილი უძღვნა როზბერის სიტყვას და ის აზრი გამოსთქვა, რომ, ჩემბერლენს გარდა, ყველა მინისტრები უნდა გამოვცვალოთო. პატრიოტებს ყველაზე ძლიერ ის მოეწონათ, რომ როზბერიმ ურჩია ლიბერალებს, ირლანდიელებთან ყოველი კავშირი გაწყვიტეთო, რადგანაც ირლანდიელებმა ამ ომის დროს აშკარად მოურიდებლივ გამოაცხადეს, ჩვენ ბურებს თანაუგრძნობთ და არა ინგლისსაო. ოპოზიციის წევრებში როზბერის სიტყვა მთლად სავსებით მარტო ლიბერალ-იმპერიალისტებს მოეწონათ, დანარჩენი ოპოზიციის ლიბერალებს მარტო ბურების პატიებაზე და საზღაურის გადახდაზე ნათქვამი სიტყვები მოეწონათ. ომის მოწინააღმდეგები უპასუხებენ როზბერის, მილნერისა და ჩემბერლენის ხელში მტკიცე მყარი ზავი შეუძლებელიაო. რადიკალები ამბობენ, როზბერისაგან ჩამოთვლილი სამინაო, სოციალური რეფორმები საკმაო არააო. თუ როზბერის შეერთებული დასი შესდგა (თითქმის ეჭვი არაა, ეს საქმე ასრულდება) და ხელში ძალა ჩაიგდო, პარლამენტში რიცხვით მცირე, მაგრამ მხნე და მედგარი ოპოზიცია დარჩება (186—150 კაცი): ირლანდიელები, რადიკალები და მუშების წარმომადგენლები შეერთდებიან და მთავრობას საშინელ ბრძოლას დაუწყებენ. ძველი ტორიებიც ალბად (კონსერვატორები) ახალ მესამე დასს შეადგენენ.

თუ როზბერის განზრახვა შესრულდა, ინგლისის პოლიტიკური დასები უფრო გარკვეულ გზას დაადგებიან, ყველა თავის შესაფერისს ადგილს დაიჭერს. ეჭვი არაა, რომ კონსერვატორებიც როზბერის დასს მიემხრობიან. ასე რომ ინგლისის პარლამენტში ერთ მხარეზე მებატონეებისა და კაპიტალისტების მსახური, ეხლანდელი წეს წყობილების დამცველი დასი იქნება, მეორე მხარეს კიდევ — დემოკრატიული აზრების, ხალხის ინტერესების დამცველი ოპოზიცია: ირლანდიელები, რადიკალები და მუშების დეპუტატები, ყველანი, ვისაც ჩვენი დროის შესაფერისი რეფორმების შემოღება სწადიან. ინგლისის ახალი დემოკრატია ბევრს არას მოელოდა ლორდ როზბერისაგან, მაგრამ მაინც მოუთმენლად ელოდა, რომ ლორდ როზბერის თავის გუთნისთვის თავი დაენებებინა და პოლიტიკურ ასპარეზს დაჰბრუნებოდა. რადიკალები, თუ მუშების დეპუტატები, მაგალითად, კეირ-გარდი ყველანი სთხოვდნენ როზბერის «მარტოდ-მარტო ხვნას» თავი გაანებე და ისევ პოლიტიკურ მოქმედებას დაუბრუნდიო. იმათ წინადვე იცოდნენ, რომ როზბერის პროგრამმა «არც გულსა ჰკვებდა, არც სულსაა», მაგრამ იმიტომ სთხოვდნენ, რომ პოლიტიკური დასების გარკვევას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ. ყველას თავი მოაბეზრა ეხლანდელმა არეულ-დარეულმა პარლამენტმა და მთავრობამაც. მთავრობის მომხრე დასში ეხლა ძველებურ კონსერვატორის გვერდზე ნამდვილი რადიკალი ზის, ოპოზიციაშიაც ლიბერალ-იმპერიალისტები, რადიკალები და მუშების დეპუტატები ერთად მოქმედებენ. თუ როზბერის განზრახვა შესრულდა, მაშინ ამ არეულ-დარეულობას ბოლო მოეღება.

❋ ინგლისურ გაზეთებს ისევ იმედი გაუღვიძათ, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი მალე დამთავრდებაო. «დეილი ნიუს»-ს სწერენ:

ლონდონში ბეჯითად ლაპარაკობენ, რომ ინგლისის და ბურების წარმომადგენლებს ზავზე მოლაპარაკება აქვთ გამართულიო. ამბობენ, განზრახვა აქვთ, (სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმაც მოიხსენია ეს განზრახვა, როცა უკანასკნელი თავისი სიტყვა წარმოსთქვა) ბურებს ადგილი მისცენ პრეტორიის ჩრდილოეთით. ამ ადგილებში ბურები დამოუკიდებელ «გლეხთა სახელმწიფოს» დააარსებენ, მხოლოდ, შესაძლებელია, რომ ეს სახელმწიფო დიდი ბრიტანიის მფარველობის ქვეშ იყოს. ამბობენ აგრეთვე, რომ ეს პირობა წინადაც დაუდეს ბურებს, მაგრამ ბურებმა უარ-ჰყვესო. თითონ ბურების ზოგიერთი სარდალიც შერიგებასაა მონდომებულიო. თუმცა ჰოლანდიელები აქეზებენ, მედგარი წინააღმდეგობა გასწიეთო, თუმცა შტეინსა და დევეტს შერიგების ხსენებაც ეჯავრებათ, მაინც ბოტა და დელარეი არ ეთანხმებიან შტეინსა და დევეტს და ზავის ჩამოგდებაზე უარს არ იტყვიანო. თითონ ჰოლანდიაშიაც თან და-თან ზავსა ნდომობენ. ლონდონში ჰფიქრობენ, რომ მეფის გვირგვინის კურთხევამდე ბურებთან ზავი იქნება შეკრულიო. ლორდ სოლსბერის მთავრობა ეხლა სრულ დამორჩილებას როდი-ღა სთხოვს ბურებს.

გერმანია. «ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო», — ასე მოუვიდათ გერმანელ შოვინისტებს ძლიერ დასცინოდნენ და ჰკიცხავდნენ ინგლისელებს, უდიერად [illegible] ბურებსაო; თანაც უკიჟინებდნენ, მთელი ქვეყნის სალაპარაკო გახდითო. შოვინისტებს თითონ უარესი საქმე არ დაემართათ! ინგლისელები ომის დროს მაინც იჩენდნენ გულ-ქვაობას და სისტიკობას, ამით მაინც იმართლებენ თავს. გერმანელ შოვინისტებმა კი ეს მოწმენდილზე გამოიჩი[illegible] თავიანთი ბარბაროსული ზნე და ხასიათი. ისე უდიერად მოექცნენ თავიანთ თანამოქალაქე პოლონელებს, რომ მთელი ქვეყნიერობა აალაპარაკეს. როგორც ინგლისელებს, ამათაც თავიანთ ჭკვის ხალხი შეჰხვდათ. პოლონელებმა მთელ ქვეყანას შეატყობინეს გერმანიის მთავრობის მხეცური ამბავი. ყველგან, მთელი განათლებული ქვეყნიერობა თანაგრძნობას უცხადებს პოლონელებს და გერმანიის მთავრობას კი ზიზღსა და სიძულვილს. თითონ პოლონელები ხომ, ქალი თუ კაცი, ყველა ფეხზე დადგა. შიგ გერმანიის დედა ქალაქ ბერლინში პოლონელებმა ბევრი კრება მოახდინეს და გერმანიის მთავრობას ბეჯითი პროტესტი გამოუცხადეს. 23 დეკემბერს ბერლინში პოლონელ ქალებსაც მოუხდენიათ კრება. კრებას თანაგრძნობა გამოუცხადებია ვრეშენში დასჯილ ყმაწვილებისა და მათი დედებისათვის და პრუსიის მთავრობის უდიერი ქცევა დაუგმია. რა წესია ის სასტიკი წესი, რომ ბავშვებს ჯოხით და ცემა-ტყეპით ასწავლის ჭკუასაო. ერთ ქალს ქ-ნ მოლსკაიას უთქვამს კრების დროს: პრუსიის მთავრობა თავის დღეში ვერ მოუსწრებს იმ დროს, რომ პოლონელი დედები თავიანთ შვილებს გერმანულ ენაზე ასწავლიდნენ რაიმე საგნებსაო.

გერმანელ შოვინისტებს თურმე ეგონათ: განა რა დაუშავეთ ისეთი პოლონელებს, რომ მთელი ქვეყანა ჩვენ მოგვესიაო. ინგლისელ ჯინგოისტებსაც არად მიაჩნიათ თავიანთი უდიერი ქცევა სამხრეთ-აფრიკაში. თქვენ თითონ პირველი ჰკმობდით ინგლისის მთავრობის გულ-ქვაობას.

ახალი ამბავი

◆ 19 დეკემბერს მთავარ-მართებლის სასახლეში გაიმართა **ნადიმი**, რომელზედაც მიპატიჟებულნი იყვნენ სამხედრო-სამოქალაქო და თავად-აზნაურობის დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

◆ ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ 6 იანვარს გასამართავ ბალის დიასახლისად იქნება კნ. **ელისაბედ ირაკლის ასული ორბელიანისა.**

◆ კავკასიის ბალოსნობის საზოგადოების განყოფილებამ დაადგინა უკანასკნელ სხ-

ფელეტონი

მეორე და უკანასკნელი წერილი

ბ. იაკობ გოგებაშვილს

მეც დაკვირვებით გადავიკითხე თქვენი წერილები ჩემსა და მღ. ნათაძის მიმართ. გატყობათ, რომ იმ „კონკრეტულ სფეროდან“, რომელშიაც თქვენ გადადით საზოგადო კრებაზე 28 ოქტომბერს, თქვენ ნელ-ნელა ბრუნდებით ისევ „აბსტრაქტულ სფეროში“ (თქვენი წერილი „ცნ. ფურც.“ № 1651), თუმცა კი სავსებით ჯერ ვერ დაბრუნებულხართ. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და მართლაც დრო არის დაიბრუნოთ ძველებური საღი მსჯელობა და ბოლო მოუღოთ იმ უსიამოვნო მდგომარეობას, რომელშიაც ჩაიგდეთ თქვენი თავი საქმის გაუცნობლობის გამო.

პირველ წერილში მე დაგდევით თქვენ სამი ბრალდება: 1) თქვენი საქციელი საზოგადო კრებაზე იყო უკანონო და უტაქტო; 2) თქვენ მიერ აღიარებული კავკავის სკოლის დაქვეითება არის თქვენი ფანტაზია — შედეგი იმ ტენდენციურის აზრისა, რომ სკოლას უნდა განაგებდეს ბ. ბოცვაძე და არა სხვა ვინმე და 3) რომ ყველა ეს აურზაური გამოიწვიეთ თქვენ მხოლოდ იმისთვის, რომ სახეში გქონდათ მხოლოდ პირადობა და არა საქმე.

ყოველივე ჩემს ბრალდებაზე თქვენ მოგვეცით ვრცელი პასუხი, თუმცა კი ცოტა დაგვიანებით (ალბად, კავკავიდან ცნობების მოწოდება დაიგვიანეს), მაგრამ რა პასუხი?! იმის მაგიერად, რომ ალალ-მართლად აღიაროთ, რომ თქვენ შეგიყვანეს ზოგიერთებმა შეცდომაში და თავისი პირადის ინტერესების დასაცველად გამოგიყენეს საზოგადო კრებაზე მხოლოდ საჭირო იარაღათ, თქვენ მოჰყოლიხართ თავის გამართლებას, მაგრამ ეს თავის გამართლება ნამდვილი საბრალმდებლო ოქმია თქვენს წინააღმდეგ.

ყოველივე თქვენი საბუთები დამყარებულია ჭორებზე და კერძოდ ნალაპარაკევზე, რის გამო თქვენი აზრების უნიადაგობა ცხადია. ჩემის პირველის ბრალდების სრულს სიმართლეს თქვენ თვითონ აღიარებთ, როდესაც ამბობთ, „რომ საზოგადო კრებაზე ამ საგნის შესახებ (რომლის შესახებაც თქვენ გამოილაპარაკეთ) ბაასის ატეხა საჩოთიროდ და უხერხული იყოო“. ასე რომ ამის შესახებ ლაპარაკი მეტია.

მეორე ბრალდებას თქვენ არ ეთანხმებით და ისევ თავგამოდებით ამტკიცებთ, რომ კავკავის სკოლამ დაიქვეითაო. მხოლოდ ამ საგნის შესახებ თქვენ ცოტა ჩვენება დაგებნათ. პირველად („ცნ. ფურც.“ № 1630) თქვენ ბრძანეთ, რომ ამყარებთ ყველაფერს ბ. იოსელიანის რევიზიაზე, შემდეგ („ივერიაში“) დაუმატეთ, რომ დაქვეითებას ამყარებთ ერთის მასწავლებლის შესახებ საჩივრებზე და ეხლა კიდევ უმატებთ, რომ იმავე, თქვენგან დევნილ, მასწავლებელს წერისა და ანგარიშის რვეულები არ უვარგაო.

როგორც დარწმუნებული ვიყავი, ბ. იოსელიანმა განაცხადა, რომ მას ეს დაქვეითება სრულებით არ შეუნიშნავს, ამნაირად თქვენი უმთავრესი საბუთი ტყუილი გამოდგა.

რაც შეეხება საჩივრებს, ამის შესახებ თქვენ მართლად შეგატყობინათ მღ. გ. ნათაძემ, რომ ეს საჩივრები ხელ-მოუწერელი წერილები იყო, ესე იგი, „დანოსები“ და ამ „დანოსების“ გამოძიება ჯერაც არ გათავებულა. ამიტომ «დანოსებზე“ და ნალაპარაკევ ჭორებზე მთელის ბრალდების დამყარება სრულებით არ შეფერის თქვენისთანა პატიოსანსა და ცნობილს მოღვაწეს. თქვენ თუ წაკითხული გაქვთ ეს „დანოსები“, კი უნდა გახსოვდეთ, რომ იქ სკოლის დაქვეითებაზე სიტყვაც არ არის მოხსენებული, მხოლოდ ნათქვამია, ერთი მასწავლებელი ამა და ამ ბავშს **წელიწად ნახევარის წინედ** სასტიკად მოეპყრაო. გამოძიებამაც რომ დაამტკიცოს ამ „დანოსების“ სიმართლე, მაინც თქვენ არ გექნებათ საბუთი, რომ სკოლის დაქვეითება აღიაროთ, რადგანაც სასტიკი მოპყრობის კერძო შემთხვევები ყველა სკოლებში შეიძლება იყოს, — მაგრამ სწავლის საქმე კი მაინც კარგად მიდიოდეს. ის მასწავლებელი, რომელსაც „დანოსი“ შეეხება, მე მიმაჩნია პატიოსან მუშაკად და კარგ და დახელოვნებულ მასწავლებლად. ასეთია ამაზე ბ.ბ. დირექტორისა და ინსპექტორის აზრიც. ამნაირსავე კარგს აზრს აცხადებს იმაზე და ქებით იხსენიებს მას არხიმანდრიტი ლეონიდე (ეხლა იმერეთის ეპისკოპოზი)- იხ. ანგარიში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა 1894—1895 წლების, გვერდი 271. აგრეთვე ქებით არის ის მოხსენებული 1896 წლის „ანგარიშში“ (იხ. გვერდი 164). სრული კმაყოფილი დარჩა იმის განყოფილებით გამგეობის რევიზორი ბ. იოსელიანიც და თქვენც რომ მისი განყოფილება გაიცნოთ, უსათუოდ იმ დასკვნამდე მიხვალთ, რომ კავკავის სკოლას არ ჰყოლია დახელოვნებული მასწავლებელი მხოლოდ ერთი ბ. ბოცვაძე და მთელი სასწავლებელიც არ არის მარტო იმაზე დამყარებული. თქვენ კი ამაღლებთ ბ. ბოცვაძეს და იმ ზომამდე ამცირებთ მეორეს, რომ „უვიც“ მასწავლებელს უძახით. არ შეგფერით, რომ ასე უსამართლოდ, მოუფიქრებლად ეპყრობით ერთს მასწავლებელს, იმ აზრით, რომ აამაღლოთ მეორე. ჩემდამი საპასუხო წერილში თქვენ ამტკიცებთ, რომ უნდა ამაღლდეს მასწავლებლის პიროვნება და მათი შრომა, მოღვაწეობა ღირსეულად უნდა დაფასდეს და თქვენ კი იმავე წერილში ერთს მასწავლებელს უძახით «უვიცს“ და მეორის შესახებ ამბობთ „ხამი ვინმე“ იყოო. რად კადრულობთ ასეთი ულამაზო და მასწავლებლების პიროვნების დამამცირებელ სიტყვების ხმარებას, ან რად ნებულობთ ასეთ ორჭოფობას, სწორედ ვერ გამიგია. ალბათ ესეც „კონკრეტული სფერის“ ბრალი იქნება.

რაც შეეხება ანგარიშისა და წერის რვეულებს, ამის განხილვა კერძო პედაგოგიურ კითხვას შეადგენს. რაც თქვენ შეცდომებად მიაჩნიათ, შეიძლება ჩემს თვალში ისინი ღირსებას შეადგენენ. ყველაფერ ამას დაწვრილებით ახსნა და განმარტება ეჭირვება დაწყნარებულად და არა გულმოსულათ. ამასთან ისიც სათქმელია, რომ თუ თქვენ მართლა შეცდომები დაინახეთ, თქვენ შეგეძლოთ, ყველაფერი თავის დროზე შეგეტყობინებიათ ჩვენთვის, რომ თქვენისთანა გამოცდილი პედაგოგის აზრით გვეხელმძღვანელა. მაგრამ თქვენ ეს არ ინებეთ და

დომაზე, გამართოს მომავალ 1902 წელს შემდეგი—**გამოფენა-კონკურსები**: მეაბრეშუმეობის ნაწარმოებისა—დ. ხონში, ლანჩხუთში, ოჩამჩირეში და ქ. მუშაში (განჯ. გუბ.); მეფუტკრეობის და ბაღოსნობის ნაწარმოებისა—ნაგომარში (გურია), ძველსენაკში იარმუკობის დროს და ქ. სოხუმში. დაადგინეს ამასთანავე გამართონ დაბა ბაღდადში და რაჭის მაზრის რომელიმე დაბაში ვაზის წამლობის მეტოქეობა; გამოფენა-კონკურსების დროს სპეციალისტების მიერ გამართული იქნება საუბრები და დემონსტრაციები მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის და მევენახეობის შესახებ. საუკეთესო ნაწარმოებში ექსპონენტებს დაურიგდებათ სხვა-და-სხვა სამეურნეო მანქანები და იარაღები. თითეულ გამოფენა-კონკურსის გასამართავად საბაღოსნო საზოგადოება სთხოვს სამიწად-მოქმედო სამინისტროს, დაუნიშნოს 100 მანეთი.

✦ ბაღოსნობის საზოგადოებამ ამ ჟამად უკვე დაამთავრა ბეჭდვა 98, 99, 900 წლებში გამართულ **გამოფენების დიპლომებისა** და ამ მოკლე ხანში გაეგზავნება ექსპონანტებისათვის ჩასაბარებლად შემდეგ პირთ: ქ. ოზურგეთში—თავ. ერ. ნაკაშიძეს; ნაგომარში—ნ. გეგელაშვილს; სამტრედიაში—ლარ. მახარაძეს; დ. ზუგდიდში—ბ. ანდრონიაკს (სამოქალაქო სასწავლებელი), ახალ სენაკში—პ. ენუქიძეს; დ. ხონში—ი. ამაღლობელს.

✦ გუშინ, 19 დეკემბერს, სომეხთა მწერლის **ღევონდ ალიშანის** გარდაცვალების 40 დღის თავზე, კათოლიკეთა პეტრე პავლეს ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო.

✦ ხვალ, 21 დეკემბერს, დანიშნულია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა, რომელზედაც, სხვათა შორის, უნდა განიხილონ საკითხი **გამოფენის** დეფიციტის დაფარვის შესახებ.

✦ დღეს, 20 დეკემბერს, საბჭოს დარბაზში დანიშნულია საგანგებო კრება **ტფილისის ნოქართა** ახლად დაარსებულის საზოგადოების წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს: 1) გამგეობის წინადადება იმის შესახებ, რომ საზოგადოების საოპერაციო წელიწადი დაიწყოს 1902 წელს; 2) საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა 1902 წლისათვის; 3) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთათვის ინსტრუქცია და 4) სხვა-და-სხვა შეწეობის რაოდენობის აღნიშვნა.

✦ 29 დეკემბერს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში იმ **მამულების გასასყიდად**, რომელთა პატრონთ სავალო გადასახადი არ გადაუხდიათ.

✦ ტფ. საქალაქო საბჭოს მახლობელ სხდომაზე უნდა განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭოს სხდომა **კანონიერად ითვლებოდეს**, თუ მას 18 ხმოსანი დაესწრება, რადგან ხმოსანთა რიცხვი საბჭოში შემცირდა და გაძნელდა სხდომების მოხდენის საქმე. გუშინ ქალაქის თავის მოადგილე ბ. შესტაკოვი დაეკითხა დეპეშით ამის შესახებ პეტერბურგისა, მოსკოვის და ხარკოვის გამგეობათ, სადაც თურმე ამგვარივე გარემოება აფერხებდა საბჭოების სხდომებს.

✦ შაბათს, 22 დეკემბერს, დანიშნულია **ტფილისის საბჭოს** სხდომა, რომელზედაც უნდა განიხილონ ორშაბათის სხდომიდან დარჩენილი სამი საქმე.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობას აღუძრავს საკითხი, რომ **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორად მოწვეულ იქმნას მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტი, რომელსაც შეეძლოს სასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესება.

✦ ტფილისის საქალაქო **გამგეობის გუშინდელ სხდომაზე** განხილულ და გადაწყვეტილ იქმნა შემდეგი საქმეები; 1) გამგეობამ დაავალა სასანიტარო საექიმო საბჭოს აირჩიოს წარმომადგენელი მოსკოვში დანიშნულ რუსეთის ექიმთა კრებაზე და გადასდო მის გასაგზავნად 300 მან; 2) გააძლიეროს საყასპოზე ღორის ხორცის გასინჯვა შემოწმება, რისთვისაც საჭირო ხარჯი მომავალ წლის შემოსავლიდან გადასდვას; 3) უარი უთხრას ექიმ ქალს შმიტს, რომელიც თხოულობდა ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში თვალის ექიმის თანამდებობაზე დანიშვნას. ეს თანამდებობა საჭირო არ არისო, რადგანაც ქალაქში განსაკუთრებული თვალის საავადმყოფო არსებობსო; 4) აღებულ იქმნან „ბუდკები“, 1-ლ სავაჟო გიმნაზიასთან და სასტუმრო „როსსია“-სთან გაშენებულნი, და სხვა წვრილმანი საქმე.

✦ იურიევიდან გვწერენ, რომ 12 დეკემბერს, იქაურ უნივერსიტეტის წლიურს აქტზე ვერცხლის მედლით დააჯილდოეს სტუდენტი **გიორგი ჯავახიშვილი** თხზულებისათვის «ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა გრიბოედოვისა“.

✦ რადგანც **ინჟენერ-ჰიდრავლიკთა კრებას** დიდძალი საქმე აღმოუჩნდა გასარჩევათ, მისი სხდომები გაგრძელებულ იქნება ამ თვის დასრულებამდე.

✦ **მუღანის მინდორში** მომუშავე ტეხნიკოსთა პარტიამ დაასრულა თავისი საქმე და დაბრუნდა ტფილისში. გაზაფხულიდან პარტია სხვა ადგილებში შეუდგება მუშაობას.

✦ **წყნეთის ქუჩის** მცხოვრებლებმა კვლავ მიჰმართეს ქალაქის გამგეობას თხოვნით, ნება დართოს ტრამვაის ვაგონების მოძრაობას, რადგან ქუჩა უკვე მოკირწყლულია და რკინის გზის ლიანდაგიც სრულიად მზად არის.

✦ სამტრედიიდან სწერენ „კავკაზ“-ს, რომ იქ ბავშვებს შორის **ქუნთრუშა** მძვინვარებს, რის გამოც რკინის გზის სასწავლებელში მეცადინეობა შესწყვიტეს.

✦ სად. მიხაილოვიდან გვატყობინებენ, რომ 18 დეკემბერს ღამით სურამის შტოზე სადარაჯოში სარკმლიდან ვიღაცამ რევოლვერი ესროლა და დასჭრა რკინის გზის დარაჯი მიხეილ ბარბაქაძე.

✦ როგორც ს. გუბელიდან გვწერენ 11 დეკემბერს, საღამოს 12 საათზე, იმ სოფლის მცხოვრებთ იაგორ კაციას ძეს, ივანე ლაზარეს ძეს და დარისპან დიმიტრის ძეს აბზიანიძეებს შეუნიშნავთ ოთხი ცხენოსანი, რომელთაც მოუდიოდათ 6 ცხენი და 5 სული მსხვილფეხი საქონელი. ზემოხსენებული პირნი ყარაულებთან ყოფილან კუხის მამასახლისის დავალებით, ყარაულები შეჰკითხებიან ცხენოსნებს, მაგრამ უკანასკნელთ პასუხად რევოლვერები უსროლიათ, რის შემდეგაც ყარაულებსაც უსროლიათ, და ერთ-ცხენოსანს ღრიალი დაუწყვია. ამის შემდეგ ცხენოსნები გაქცეულან და დაჭრილიც თან გაუტაცნიათ; საქონელი კი იქ დაუყრიათ. მეორე დღეს მინდორში იპოვეს მკვდარი ქურდი, გზაში მომკვდარა და ვეღარ წაუღიათ ამხანაგებს. იარაღი-კი შემოესხნათ.

✦ პოლიციის პირველ ნაწილში, გაბაშვილის ქუჩის მოსახვევში, პოლიციელმა ნახა მიგდებული ბავშვი, როგორც სჩანს, იქვე ნახურ წერილიდან, ბავშვი ერთის წლისა და 7 თვის არის, ის გაგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, მეტად ცუდსა და საშიშო მდგომარეობაშია მასლოვის სახლი პეტერბუგის ქუჩაზე და, რომ იქ მდგმურებს მოსალოდნელი უბედურება აშორდეს, ტეხნიკოსები დანიშნეთ ამ სახლის შესამოწმებლადაო.

✦ 18 დეკემბერს ნიკოლოოზის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ექიმ რუდენკოს სახლს, მაგრამ მაშინვე შეიტყვეს. ზარალი სულ მცირეა.

ქუთაისის ახალი ამბები

〰 ქუთაისის გუბერნიის აგრონომ ბ. ტიმოფეევს ამ მოკლე ხანებში დათვალიერებია სახალხო სკოლებთან არსებული სამეურნეო განყოფილებები და თავისი აზრი წარუდგენია, სადაც ჯერ არის სულ მთელ გუბერნიაში 7—8 სამეურნეო განყოფილებებია, რომელთაც განაგებენ სპეციალისტები, მაგრამ, სამწუხაროდ ზოგიერთ მათგანს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო საქმე ვერ მიჰყავთ კარგად. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ან რა პროგრამით უნდა იხელმძღვანელონ მომავალში სამეურნეო განყოფილებებმა, ამ მოკლე დროში ქ. ტფილისში მოხდება კრება სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თავმჯდომარეობით და სამიწად-მოქმედო სამინისტროს სპეციალისტების მონაწილეობით.

〰 ქუთაისის მაზრის დროებით ვალდებულ გლეხკაცების საქმეს განაგებს ამ ჟამად სამი მომრიგებელი-შუამავალი, რომელთაც მთელი მაზრა სამ რაიონათ აქვთ გაყოფილი—ქუთაისის, ბაღდადის და სამტრედია-ხონის. ამ წლამდე მომრიგებელ-შუამავალნი სცხოვრობდნენ თავთავიანთ რაიონებში და გლეხკაცობასაც საშუალება ჰქონდა საჭიროებისამებრ თავის დროზე მიემართა მათთვის. წელს კი ბაღდადის მომრიგებელ-შუამავალი ი. ჯაფარიძე და ხონის—თ. კ. ს. სუმბათოვი გადმოვიდნენ საცხოვრებლად ქ. ქუთაისში. მაზრის სივრცე აღემატება 3,112 კვად. ვერსტსა, შესდგება 37 სასოფლო საზოგადოებისაგან, და 194 სხვა-და-სხვა სოფლებით, რომელშიაც 223,227 მეტი მცხოვრებლებია. ზოგიერთი სოფლები მდებარებენ რიონსა და ცხენის წყლის გაღმა და წყალდიდობის დროს ქალაქთან მთელ თვეობით ყოველ გვარი კავშირი შეწყვეტილი აქვთ. გლეხ-კაცობის საქმე კი ხშირად ორიდღითაც არ გადიდება; ასე რომ ჩვენ ვერ გაგვიგია, რათ მოისურვეს ზემოხსენებულ მომრიგებელ-შუამავალთ თავიანთ რაიონებში სამართველო კანცელარიის გაუქმება და ქუთაისში გადმოსახლება, რითაც ძლიერ შეავიწროვეს შორეულ სოფლების გლეხკაცობა. არის დრო, როცა გლეხკაცობას ერთი დღე ორი მანეთი უღირს და ის კი 30—40 ვერსის მანძილზე ქუთაისში გარბის. სასურველია, ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, ვისიც ჯერ არს.

რუსეთის ქრონიკა

∝ გზათა სამინისტრო ამ ჟამად შეუდგა რკინის გზებით მოგზაურთა შესახებ არსებულის წესების გადასინჯვასა და შეცვლას.

∝ **მიწად-მოქმედების სამინისტრომ** ნება მისცა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას თავისი განყოფილება დააარსოს როსტოვში (დონზე) და გაავრცელოს თავისი მოღვაწეობა ჩრდილოეთ კავკასიაში, დონის ოლქში და სხვა მეზობელ გუბერნიებში.

მხოლოდ მეშვიდე თვეზე, როდესაც თქვენ გაგაჯავრესთ. გაზეთის ფურცლებზე აღნიშნეთ, რომ რვეულებში შეცდომები ვიპოვნეთ.

ამ ნაირად თქვენი საბუთები სრულებით ვერ ამტკიცებენ სკოლის დაქვეითებას და აპრიორისტიულადაც რომ გახედოთ საქმეს, ეს დაქვეითება შეუძლებელია. კავკავის სკოლას ჰყავს 4 მასწავლებელი. ყველა მათგანს შესაფერი სწავლა და მომზადება მიუღია და მსახურებენ სკოლებში არა ნაკლებ 8–10 წელიწადისა, ასე რომ „ხამი“ და უვიცი მასწავლებელი სკოლას არ ჰყავს. ყველა შეძლებისა და გვარად შრომობს, მიჰყვთ სწავლის საქმე რიგიანად და რევიზორებიც სრულს კმაყოფილებას აცხადებენ, ასე რომ არ იყოს, არც ის სახელი ექნება სკოლას, რაც ამ ჟამად აქვს.

სკოლა რომ ეკონომიურის მხრივ წარმატებაში არის, ამას ვერც თქვენ უარჰყოფთ. ამ ბოლო წლებში ვხარჯავთ სკოლაზე არა ნაკლებ 4,000 მანეთისა. ამ წელშიც ჩვენ შენეთ ახალი საკლასო დარბაზი, თავის დერეფნით (1,400 მან.), შევიძინეთ საჭირო ინვენტარი, ავაშენეთ ახალი დიდი [illegible] (260 მ.), მოვფინეთ სკოლის ეზო ასფალტით, დავიწყეთ დიდი სარაიის აშენება, მოვახდინეთ საჭირო რემონტი ([illegible]0 მ.), გავწიეთ დიდი ხარჯი ახალ ბაღზე და სხვა.. ჩვენი წლიური შემოსავალი კი ამ უკანასკნელ წლებში უფრო მეტი ამოდის, ვიდრე წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების შემოსავალი ჩვენს დედა ქალაქ ტფილისში. ეს ყველაფერი გარეშე ყურებელთათვისაც ცხადია. სწავლის საქმე უფრო დაფარული საქმეა. ამას ბევრი დაკვირვება და შესწავლა უნდა, რომ კაცმა სამართლიანი მსჯავრი დასდოს.

ამიტომ, რომ თქვენგან შელახული სიმართლე აღვადგინო, მე ვიხმარე შემდეგი ზომები:

1) ამ მოკლე ხანში ბ. დირექტორი და ინსპექტორი მოახდენენ სკოლის ყოველ მხრივ რევიზიას. მათი აზრი ჩვენთვის ავტორიტეტულია, მაგრამ ამიტომ მე არ მსურს დავკმაყოფილდე მარტო იმათი აზრით და ვსთხოვე საზოგადოების გამგეობას, რომ გამოგზავნონ ტფილისიდან ვინმე საიმედო პირი რევიზორად. ამასთანავე მე განვიზრახე მოვიწვიო აგრეთვე კომისია აქაურ ქართველ პედაგოგთაგან, რომ იმათ გაიცნონ საქმე და თავისი აზრი გამოსთქვან (აქ—ქართველ სკოლაში მოსამსახურეთ გარდა—7 ქართველი პედაგოგია).

ამ ნაირად მე მექნება სამი, თუ მეტი წერილობითი საბუთები სკოლის მდგომარეობის შესახებ და ყველამ თუ დაამტკიცა, რომ სკოლა წარმატებაშია, არაფერი უშლის და საქმე ყველა განყოფილებაში რიგიანად მიდის, მაშინ, იმედი მაქვს, ყოველივე თქვენს უსამართლოდ ნათქვამს ისევ უკანვე წაიღებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მე საბუთი მექნება, რომ უსამართლო ჯიუტობა შეგწამოთ.

სკოლის დაქვეითება დაგვპირდათ თქვენ იმიტომ, რომ არსებულის წესის უვარგისობა დაამტკიცოთ და ამ უკანასკნელის დამტკიცება იმიტომ მოინდომეთ, რომ ბ. ბოცვაძე დააჯილდოვოთ გამგის თანამდებობით.

მეთორმეტე წელიწადია, ესე იგი, სკოლის დაარსებიდანვე ეს წესი არსებობს კავკავის სკოლაში და სკოლა ბუნებრივად იზრდებოდა და წარმატებაში შედიოდა. პირველ წელიწადს სკოლას ჰყავდა მხოლოდ 18 მოწაფე, ერთი მასწავლებელი და სადგომათ დაქირავებული სახლი. ხარჯი გადიოდა 600 მანეთამდე. ამ ჟამად კი სკოლაში არის 195 მოწაფე (კავკაველები, მოხევეები, მთიულები და რაჭველები), სკოლას ჰყავს 4 მასწავლებელი, სადგომად აქვს საკუთარი სახლი, რომელიც შეიცავს 4 საკლასო დარბაზს, 5 ოთახს, მასწავლებლების საცხოვრებლად (სკოლაში 3 მასწავლებელი სცხოვრობს), ერთს ბიბლიოთეკის ოთახს, ერთს ზალას პედაგოგიური მუზეუმისათვის, სხვა-და-სხვა საჭირო საგნებს, ირგვლივ დერეფანს, ასფალტით მოფენილს (ეზოც ასფალტით არის მოფენილი), ცალკე დიდს დერეფანს გიმნასტიკისთვის და საკუთარს ეკკლესიას შესაფერის მოწყობილებით—ყველაფერი ეს ღირს არა ნაკლებ 25 ათასი მანეთისა. სკოლას აქვს ორი ბაღი: ერთი სკოლასთანავე და მეორე უფრო დიდი—სკოლის ახლოს. სკოლასთან არსებობს საკვირაო სკოლა ვაჟებისათვის და მალე დაარსდება საკვირაო სკოლა ქალებისათვისაც, აგრეთვე ვემზადებით მიუმატოთ სკოლას კომერციული განყოფილება ვაჟებისათვის და ჭრა-კერვის კურსები ქალებისათვის და ყველა ამას, იმედი გვაქვს, განვახორციელებთ მალე, თუ ზოგიერთი მოკეთეები აქ „წყალის ამღვრევას“ არ დაგვიწყებენ და ჩვენ შორის კეთილ განწყობილებას არ მოშლიან.

სკოლის შენახვაზე გვეხარჯება უკანასკნელ წლებში არა ნაკლებ 4,000 მანეთისა (შენობებით, რასაკვირველია—ისე კი ხარჯთ-აღრიცხვით 2,600 მანეთი უნდა გადიოდეს). წერა-კითხვის საზოგ. გამგეობა გვიგზავნის მხოლოდ ეს სამი წელიწადია წლიურათ 380 მანეთს და საჭირო სახელმძღვანელოებს. მაშ საიდან და როგორ ვშოულობთ ამოდენა ფულს და საიდან გაუკეთებია აქაური ქართველების კოლონიას იმდენი რამე, რაც საქართველოშიც ძნელია, თუ სკოლა ქართველობას აფრთხობს და სიმპატია და ყურადღებაც არ დაუმსახურებია. რომ ხალხი ახლაც ისე კარგად ეპყრობა სკოლას, როგორც უწინ, იქიდანაც სჩანს, რომ უწინდელზე მეტად თუ არა, ნაკლებათ მაინც არ ზრუნავენ. სამზრუნველო კომიტეტს გასულ წლის 25 დეკემბერს გამართულმა საღამომ წმინდა შემოსავალი დაუტოვა 1,450 მან. და ქართულმა სეირნობამ ამა წლის 26 აგვისტოს—1800 მანეთამდის.

თუ არსებული წესი უვარგისი და აქაურ პირობებთან შეუფერებელი იყო, სკოლა არსებობდა 13 წელიწადი ცუდს ნიადაგზე და უხერხულ პირობებში, მაშ საიდან გაიზარდა ასე ყოველ-მხრივათ, ასე თვალსაჩინოთ და აქაურ ქართველების სასახელოდ?!

ყველაფერი ეს ნათლად ღაღადებს თქვენის სიტყვების უსამართლობას და ტენდენციურობას.

შართუნ გოთუა.

(დასასრული იქნება)

ღ საშინელი ბოროტ-მოქმედება მოხდა ამ დღეებში ხარკოვის ახლო. საქონლის მატარებლით მიდიოდა არტელშჩიკი, რომელსაც თან მიჰქონდა 30,000 მანეთი. გზაში ის ავიდა ლოკომოტივზე და საუბარი გაუმართა მემანქანესა და მისს თანაშემწეს. შემდეგ არტელშჩიკი გაჰქრა და ყოველივე ძებნამ ამაოდ ჩაიარა. ბოლოს გასინჯეს ლოკომოტივის ღუმელი (ფეჩი) და შიგ ნახეს ადამიანის გარუჯული ქუსლი. აღმოჩნდა, რომ მემანქანესა და ცეცხლის შემკეთებელს მოუკლავთ არტელშჩიკი, გაუძარცვავთ ის და შემდეგ დაუწვავთ.

ღ ის ფამუსოვი, რომელიც „ვაი ჭკუისაგან“-ში არის, წინადადებას იძლევა, რომ ყველა წიგნები დასწვან, ეს კიდევ ამბობს, რომ ყველა თეატრები უნდა გადაიწვასო. „დონის რეჩის“ სიტყვით, ეს ასე მოხდა.

ქალაქ ვორონეჟს ხელშეკრულების ვადა უთავდება თეატრის ანტრეპრენიორთან და ამიტომ ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, თეატრის შესახებ მოილაპარაკოს განსაკუთრებულ კომისიაში. სიტყვა დაიწყო ხმოსანმა რიაბოკონევმა. დიდ-ხანს ცხარედ და მჭევრმეტყველურად ილაპარაკა იმან თეატრის მნიშვნელობაზე და ამითი სულ გადარია თავისი ამხანაგი, გამგეობის წევრი კრიტოვი. უკანასკნელმა, დაიწყო რა იქიდან, რომ თეატრი მხოლოდ გარყვნილების საქმეს ემსახურება, ცხარედ უპასუხა რიაბოკონევს და გატაცებულმა კინაღამ წინადადება მისცა, რომ თეატრი დაეწვათ იმის აზრით, ქრისტიანული ზნეობა და თეატრი ვერ მოთავსდებიან ერთად. ასტყდა ბაასი. „იმ კითხვაზე გადავიდნენ, რომ შესდგეს სათეატრო „კომისია, რომელმაც თვალ-ყური ადევნოს იმას, რომ წარმოადგინონ ხოლმე ხელოვნური და საზნეო პიესები. ამან კიდევ გამოიწვია კითხვა მაზე, თუ რა არის „საზნეო“ პიესები. კრიტოვმა შხამიანი კითხვა მისცა რიაბოკონევს: თქვენის აზრით, საზნეო პიესა არის „გროზა“? “ნამდვილად!“—უპასუხა რიაბოკონევმა.— „დიაღ, თქვენის აზრით საზნეო პიესაა, ხოლო ჩემის აზრით კი ყოვლად ზნე-გახრწნილებაა!“—ყვირის გამგეობის წევრი. სრულიად გადაირია ისა, როდესაც რიაბოკონევმა სხვა ხელოვნურ პიესათა შორის დაასახელა „ვლასტ ტმი“. „ოჰო! აი თურმე რა ყოფილა!—წამოხტა ბ. კრიტოვი,—თქვენ ლევ ტოლსტოიმდისაც მიაღწიეთ!“

როგორც მოგეხსენებათ, ბ. რიაბოკონევს მეტი ალარაფერი არ გაეწყობოდა და ჩაჩუმდა. ბ. კრიტოვმა აჯობა გარდასწყვიტეს, რომ სათეატრო კომისია არ შესდგეს და არამც-და-არამც დღესასწაულების წინ წარმოდგენები არ გაიმართოს („როსსია“).

პრესსა

გადიდებულმა „ივერიამ“ თავი ისახელა ყოვლად უმზგავსის ლიტერატურულის უზნეობით. სხვა მასალა რომ ვერ უშოვნია გაზეთის ასავსებლად, დაუსტამბავს საზიზღარი პასკვილი მაყაშვილისა „ბიბლიოთეკის დაარსება“.

ნუ თუ „განახლებულს“ რედაქციაში ერთი კაცი მაინც არ აღმოჩნდა, რომელსაც სცოდნოდა, რა განსხვავება არის პასკვილსა და სატირას შორის?! რედაქციაში მოაქვთ წერილი, რომელშიაც გარეგანის ნიშნებით აღნიშნულია ნამდვილი პირი, შემდეგ კი მრავალის ცილის-წამებით შელახულია მისი პირადობა, ჰუჰყიანის ხელით დახასიათებულია მისი წარსული კერძო ცხოვრება და გაზეთი წარბ-შეურხევლად ჰბეჭდავს ამ გვარს ნაწარმოებს! თუ ეს არის ახალი მიმართულება, რომელსაც „ივერია“ დაადგება, მეტად სამწუხარო მოვლენა იქმნება ჩვენის ლიტერატურისათვის! ჩვენს ღარიბ საზოგადოებრივ ასპარეზზე ორიოდე ქალი გამოსულა სამუშაოდ და, რამდენადაც ძალა შესწევთ, ემსახურებიან საქმეს. გაზეთს შეუძლიან, რასაკვირველია, დასცინოს მათ, თუ უხერხულადა და ცუდათ მოღვაწეობენ, მაგრამ პირადობის, კერძო ცხოვრების შეურაცხყოფის ნება არავის არა აქვს, მით უმეტეს, თუ სატირიკოსი ცილის წამებით და ჭორებით შეიარაღებულა. რცხვენოდეს გაქალარებულს „ივერიას“: მის მაგიერ, რომ ახალგაზრდა მწერლისათვის აეხსნა მისი ყოვლად შეუწყნარებელი საქციელი, მან ხელი შეუწყო მის შეცდომასა და მრუდე გზაზე დააყენა! ხოლო ტალახი, რომელიც გაზეთმა გაისროლა პატიოსან მოღვაწეთა წინაამღდეგ, უკანვე დაუბრუნდება და გასვრის იმათ, ვისაც ცილის-წამებისა და პასკვილის გამეფება მოუნდომებია ჩვენ პრესსაში!

*
* *

ბოლოს დროს უმაღლეს მთავრობას განზრახვა აქვს გადაათვალიეროს და შესცვალოს განქორწინების აწ არსებული კანონები. ამის გამო რუსეთის პრესსამ ბევრი რამ საყურადღებო და საგულისხმო დაჰბეჭდა. არა მარტო საერო გაზეთებმა, სასულიერო ორგანოებმაც ენერგიულად დაიწუნეს ახლანდელი კანონები და აღიარეს ისინი დროისა და გარემოებათა შეუფერებლად. მათის წყალობით, ქალის მდგომარეობა სწორედ აუტანელია. განქორწინება იმდენად გაძნელებული და თითქმის შეუძლებელიც არის, რომ ქალი იძულებულია ბევრი ტანჯვა და დამცირება აიტანოს და არ მოშორდეს ქმარს. არც მამაკაცთა მდგომარეობაა, რასაკვირველია, სანატრელი, მაგრამ ქალი სწორედ კანონს გარეშე არსებად ხდება, რომელსაც საშინელი ალტერნატიკა უხუთავს სულს: ქმართან დარჩენა—გაბმული ტანჯვაა, გაყრა—კიდევ უარესი... რამდენად შეუფერებელია ჩვენის დროისათვის აწ არსებული კანონები განქორწინებისა, სჩანს, სხვათა შორის, იმ სტატისტიკურ ცნობებიდანაც, რომელიც მოჰყავს „კიევსკაია გაზ.“-ს.

„რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა უკანასკნელმა აღწერილობამაო, ამბობს გაზეთი, აღმოაჩინა, რომ ყოველ ასს ქალზე, რომელიც იძულებული ყოფილა ქმარს მოშორებოდა, მხოლოდ ერთი ქალი მოდის კანონისამებრ განქორწინებული; დანარჩენები უკანონოდ განქორწინებულან და, მიუხედავად მრავალგვარ უხერხულობა-წვალებისა, მაინც თავის „უკანონო მდგომარეობას“ არჩევენ ქმრებთან შერიგებას. აღწერილობამ აღმოაჩინა, რომ პეტერბურგის მასწავლებელი და სხვა ინტელიგენტ ქალების უმრავლესობა ქმრებს განშორებულნი ყოფილან და რის ვაი-ვაგლახით ცხოვრებენ და ირჩენენ თავს. ბევრს ველარ შეუძლია „უკანონო მდგომარეობის“ ატანა და „ხორისტებისა და კაფე-შანტანის არტისტებთა“ გარყვნილების მორევში შეუცურავს... ამგვარად ის, რასაც კანონი სასტიკად სდევნის და ავიწროებს, ესე იგი, განქორწინება, ცხოვრებაში მაინც ხდება ხშირად; ათასობით შორდებიან ერთმანეთს მეუღლენი, თუმცა კანონი ავიწროებს ამ განშორებას. თუ ეს ასეა, განა უმჯობესი არ იქნება გადაისინჯოს ახლანდელი კანონები და მფარველობა გაეწიოს მაინც იმათ, ვინც უთუოდ მარტო ცხოვრებას არჩევს, ვინც იძულებულია უთუოდ განშორდეს მეუღლეს. თანამედროვე ცხოვრება, სინამდვილე გვეუბნებიან, რომ რამდენადაც უნდა შეზღუდონ განქორწინება, რაგვარი ბორკილითაც გინდა შეჰბოჭონ ერთმანეთზე გადამტერებული ინტელიგენტ მეუღლენი, ისინი მაინც განშორდებიან ერთმანეთს. მაშასადამე, სჯობს კანონმა მოაწესრიგოს მათი ურთიერთობა და არ ჩააგდოს ერთი მხარე ტანჯვაში, არ გახადოს ერთი მეუღლეთაგანი მეორის მსხვერპლად.

გაზეთი «ნოვ. ვრ.», რომელიც აგრეთვე თავგამოდებით თხოულობს ხსენებულ კანონების გადასინჯვას, „კიევსკ. გაზ.“-ის მოსაზრებას დასძენს იმას, რომ ჩვენი კანონები ამის გამო ბატონ-ყმობის დროს არიან შედგენილნი და სრულიად შეეფერებოდნენ იმ დროსაო; ეხლა კი ყოვლად შეუწყნარებელი არის მათი შეუცვლელობა თანამედროვე ცხოვრების პირობათა მიხედვითაო.

თეატრი

ქართული თეატრი

დღეს, 20 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება ქართულ თეატრში ახალი სამ მოქმედებიანი კომედია ოტტო ერნსტისა «პედაგოგები», თარგმანი ახალ-გაზრდა დრამატურგისა დ. ნახუცრიშვილისა. ამ პიესამ მოიარა ყველა ევროპიული თეატრები, მაგრამ ჩვენთვის მაინც ახალია. დედა-აზრი პიესისა გახლავთ ბრძოლა ორ პედაგოგიურ მიმართულებათა შორის. ერთის მიმართულების აზრით, სკოლა არის ჩარხი, რომელიც ტრიალებს ერთ და იმავე სიჩქარით და ყოველი მასწავლებელი ამ ჩარხის ჩხირია, რომელიც უნდა ტრიალებდეს იმ მხარეს, საითკენაც დატრიალდება ჩარხი. მასწავლებელს არ უნდა ჰქონდეს თავისი ინიციატივა. მეორე მიმართულების აზრით კი, მასწავლებელი არ უნდა იყოს მარტო აღმასრულებელი ინსტრუქციისა, არამედ აღჭურვილი თავის ინიციატივით, აღმზრდელი ბავშვებისა, ნამდვილი ხელოვანი და არა ხელოსანი.

მოქმედება სწარმოებს სახალხო სკოლაში. სკოლის უფროსი ბ-ნი «ფლაქსმანი» არის ძველი მიმართულებისა, მას არ სწამს არც პესტალოცი, არც რუსსო, მისი პესტალოცი და რუსსოც, ინსტრუქცია არის. ერთი მასწავლებელთაგანი—ბ. ფლემინგი მეორე მიმართულების არის; მას სურს ნამდვილი აღმზრდელი იყოს ბავშვებისა და არა აღმსრულებელი მრავალ მოწერილობათა. ამ ნიადაგზე ფლაქსმანს და ფლემინგს მოსდით უსიამოვნება. გაფიცხებული და უკიდურესობამდე მისული ფლემინგი ფლაქსმანს მეჩექმეს უძახის. შეურაცხყოფილი ფლაქსმანი აგზავნის ქაღალდს უფროსებთან და სთხოვს გამოძიებას. გამოძიებაზე მოდის პროფესორი «პრელი». ეს პროფესორი ახალის მიმართულებისაა. იგი ჰხედავს ფლემინგის სიმართლეს, მაგრამ შველა არ შეუძლიან, რადგან ფლემინგს არც ბოდიშის მოხდა უნდა ფლაქსმანის წინაშე, არც საყვედურის მიღება. ბოლოს აქტორს შეუბრალებია ფლემინგი და არ მოუსურვებია მისი დასჯა; რევიზორმა აღმოაჩინა, რომ ფლაქსმანს თავის გარდაცვალებულ ძმის დიპლომი ჰქონია და არა თავისი, ამისათვის ითხოვენ მას სამსახურიდან და სკოლის უფროსად ნიშნავენ ფლემინგს. ამით სიმართლე იმარჯვებს ბოროტებაზე.

დანარჩენი სკოლის მასწავლებლები ვეიდენბაუმი, რიმანი დირკსი, ფოგელზანგი, რემერი, ქალები შტურკან და გოლიამ ორ ბანაკად არიან გაყოფილნი. ფლემინგის მომხრენი მასწავლებელნი თუმცა სიმპატიურნი არიან, მაგრამ მოკლებულნი არიან პიროვნებას და ვერ ჰბედავენ თავიანთ აზრების წარმოთქმას უფროსის წინაშე.

რაც შეეხება პიესის სცენიურ ღირსებას, იმედია, მკითხველი თვით დაესწრება წარმოდგენას და თვითონ შეადგენს მსჯელობას.

გურიის ამხანაგობის „შუამავალის“ წევრთა კრება

16 დეკემბერს მოხდა გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის «შუამავალის» წევრთა მორიგი კრება; თავმჯდომარე. არჩეულ იქმნა ნიკო თავდგირიძე; სხდომაზე წარმოდგენილი იყო გასარჩევად რამდენიმე საქმე, მაგრამ დიდი დრო და სჯა-ბაასი მოანდომა კრებამ ამხანაგობის მმართველის მოქმედებათა და შეცდომათა გამორკვევას. ანგარიშებიდან სჩანს, რომ ამხანაგობას უზარალია 1900 წელს 3316 მან. 43 კაპ., 1901 წ. 11563 მან. 86 კაპ; ვალი დასდებია 7615 მან. 56 კ.,*) წარსული 1900 წლის წარმოებისაგან დიდათ უზარალია ამხანაგობას იმიტომ, რომ ადგილობრივ, დროზე, ვერ გაუყიდია პარკები და გაუგზავნია საფრანგეთში; იქ თან-და-თან ფასები დაწეულია, ასე რომ ამხანაგობის მმართველს თავის პარკები დიდათ დაკლებულ ფასებში გაუყიდია. ამხანაგობას მარსელში ნატანილი ფუთი პარკი დაუჯდა 53—54 მანეთად და გაუყიდია 46—47 მან. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ამხანაგობა წააგებდა. მმართველს ამტყუნებდნენ მასში, რომ იმას არ უნდა წაეღო პარკი გასასყიდლად საზღვარ-გარეთ; მმართველი იმით იმართლებდა თავს, რომ იმ დროს, როცა პარკის გაყიდვა იწყებოდა, საზღვარ-გარეთ პარკს კარგი ფასი ჰქონდაო, ადგილობრივად საქონლის გაყიდვა ბევრ მოგებას არ სტოვებდა და ამიტომ სხვა მეაბრეშუმეთა რჩევა-გაპირებით კუხის ამხანაგობის მმართველთან ერთად მეც წავიღე პარკი მარსელში გასასაღებლადო, მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, შემთხვევა დარჩა ისეთი, რომ თან-და-თან იკლო პარკის ფასმა და ამით იზარალა საზოგადოებამო.

მართალია, დიდი შეცდომა იყო გამგეს მხრივ, რომ ჯერ კიდევ მატერიალურად გაუმაგრებელ, უთანხმო, უსახსრო ამხანაგობის ნაყიდი საქონელი შორს უცხოეთში წაიღო და გაბედულათ, «რისკით» იმოქმედა, მაგრამ რუსები იტყვიან: «წაქცეულს აღარ სცემენო» და ჩვენი ზოგიერთი გაცხარებული ოპოზიციონისტები კი სწორედ ამისთანა დროით სარგებლობენ; შეცდომა მოსვლია, ანგარიშში მოსტყუვდა მმართველი,—ეს სამწუხარო გარემოებაა და არა შურის საძიებელი; თუ რამეთი საქმის გამოწყობა შესაძლებელია, ამისთანა დროზე უნდა გამოჩენილიყო თანაგრძნობა ყოველმა წევრმა. ჩვენებური საერთო საქმის გულ-შემატკივარნი კი ამოიწერენ დავთრებიდან შეცდომებს «ხელის-ხელ საგალობელ მარგალიტსავით» და ამით წადმა-უკუღმა ატრიალებენ; ამ ნაირმა საქმისადმი განწყობილებამ შეაფერხა ამხანაგობა: ერთი გამგეობის წევრი შე[illegible] და დანარჩენები კი ოქმების და [illegible] თხზვას მიჰყვნენ, ამით საზოგადოებას ამხანაგობაზე გული გაუტეხეს და ნდობა დაუკარგეს. ეხლანდელი სხდომაც ასეთი გამწვავებულის წინაამღდეგობითა და შეტაკებით ხასიათდება; თუმცა საერთოდ სხდომამ ძრიელ დინჯად, მშვიდობიანად და გონივრულად ჩაიარა. ამხანაგობის ეხლანდელ გარემოებაში მიუცილებელი საჭირო იყო ისეთი პირების არჩევა, რომლებსაც თავის-თავად ნდობა, თანაგრძნობა და პატივისცემა აქვთ საზოგადოებაში მოპოვებული და თანაც საკმაო საკუთარი შეძლება, ქონება; მხოლოდ ასეთ კაცებს შეეძლოთ ამხანაგობის საქმეების გამოხრუნება ეხლანდელ პირობებში. ამ აზრით კრებამ აირჩია ხუთი კაცი: ვასილ სოფრომის ძე ხუნდაძე—ოზურგეთის ფარმაცევტი, ნიკო გეგელაშვილი—ნიგოითის ფარმაცევტი, ნესტორ მხეიძე—დაბნეთის აფთიაქის პატრონი, სილიბისტრო გუმალიშვილი და ახალგაზრდა კანდელაკი, დაბნეთის საზოგადოებისაგან არჩეული სანდო პირად. ყველა ამათ ჩააბარა კრებამ ამხანაგობის დროებით გამგებლობა. იმათ უნდა მოიპოვონ ყოველივე ღონისძიება—საშუალება ამხანაგობის ანგარიშების გასასწორებლად და მოქმედება-წარმოების განსაგრძობათ; ამათ ეძლევათ სრული უფლება თავიანთ შეხედულობით და აზრით იხელმძღვანელონ: ან ყველამ იკისრონ ზედამხედველობა, განაწილონ შრომა, ან აირჩიონ შეთანხმებით ვინმე სანდო და ამხანაგობის ეხლანდელი საქმეებისთვის შესაფერი პირი და მათი პასუხის გებით და ზედამხედველობით ამუშავონ ასეთი კაცი. მართალია, ამხანაგობას ამ ჟამად რვა ათა-მანეთამდე ვალი აქვს, მაგრამ სავაჭრო-სამრეწველო საქმეში, უმეტეს ეხლანდელ დროში, ასეთი მცირედი ვალი საშიშარი არ არის. თუ წესიერად, წინდახედულად, მარჯვედ წაიყვანეს ახალმა გამგეებმა საქმე, 8 ათას მანეთს ერთი წლის მოგებიდან გადაიხდიან, რის შემდეგაც ამხანაგობას დარჩება 16—17-ათასი მანეთის ქონება. ეხლა რომ გაიყიდოს ეს ნივთები და ქონება, ნახევარ ფასადაც არ გასაღდება და საქმისათვის კი ძვირად ღირს. სრული იმედი გვაქვს, რომ ახალი არჩეული პირები სასურველად წაიყვანენ საქმეს და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ ხალხს.

წევრი.

პროვინცია

ქუთაისი ქუთაისის გუბერნიაში [illegible] ნახევარი მცხოვრები ითვლება. ამოდენა მხარეს არა აქვს თავისს ცენტრში არც ერთი ბეჭდვითი ორგანო, რომლის საშუალებითაც ხალხს შეეძლოს დროზე გაიგოს ქვეყნიერებაზე რაც ხდება, გაეცნოს თავის ავს და კარგს, განსაჯოს და გამოიკვლიოს ათასი დახლართული კითხვები, რომლითაც არსებითად ებმიან მის ცხოვრებას.—ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ცდილობენ ტფილისის ქართული ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ ისინი შორს არიან იმერეთზე და ვერ იზიდავენ მკითხველს... ამისათვის მიუცილებლად საჭიროა ქუთაისში ყოველდღიური გამოცემა ქართულ ენაზე.

აქაურ ინტელიგენციას [illegible] თუ შეიძლება ასე დავახასიათოთ ის [illegible] საზოგადოების საქმეებისადმი, ის ეგოიზმი, კიდურესი ეგოიზმი, რომლითაც გამსჭვალულია აქაური მოწინავე კლასი, კლასი ეგრეთ წოდებულ ინტელიგენტთა.

ყოველწლივ ამ კლასს მატება ახალგაზრდა წევრები, გატაცებულნი აზრებით და იდეალებით, მაგრამ ისინი თავიანთ [illegible] ვერ ახორციელებენ, რადგან ვარდებიან [illegible] შეზრობილ პირთა საზოგადოებაში. [illegible] ასეთ უმაწვილებს ნატვრაც კი უქრებათ და ისინიც [illegible] ეგებებიან იმ პირთა საზოგადოებას, რომელთაც ქვეყანაზე არა აქვთ ინტერესები-რა, გარდა საკუთარი [illegible] კმაყოფილებისა და იმისა, რაც, მათის [illegible], [illegible] პირობაა ასეთი კმაყოფილებისა! ერთის აზრთა და ფიქრთა სანატრელი [illegible] არის კლიენტი და ჰონორარი, მეორის [illegible] ყოველი თავის [illegible] რიცხვი, [illegible]—პაციენტი და უფრო [illegible]

---

*) ამ რიცხვიდან ზოგიერთი გრენის გამომყიდველი ვაჭრები უკლებენ ამხანაგობას 1293 მან. 75 კ., რის შემდეგ დარჩება ამხანაგობას ვალი 6321 მან. 81 კაპ.

დასი სატრფიალო და სათაყვანო საგანი კი მწვანე მაუდით გადაკრული მაგიდაა...

მიუხედავათ ასეთი გარემოებისა, ამ ადამიანთა შორის ბევრი მოიპოვება ფრიად ნიჭიერი და შრომის მოყვარე კაცი, მამულის მოყვარული და სასარგებლო, რომელშიაც ამ ღირსებებს მიუძინია[illegible] დროებით. საკმაოა რამე სტიმული, რომ მა[illegible] თავმოყვარეობასთან გაიღვიძონ მათში ამ უჩინარ, პოტენციალ მდგომარეობაში მყოფმა ღირსებებმა, მომქმედმა ძალებმა... ასეთი უძლიერესი სტიმულია ადგილობრივი გაზეთი.

ამას გრძნობდა ყოველთვის აქაური მძინარე საზოგადოებაც კი, ბევრჯელ კრებებიც მოუხდენია შესახებ გაზეთის დაარსებისა, მაგრამ განზრახვა განზრახვად დარჩენილა ზოგიერთ დაბრკოლებათა გამო.—უმთავრესი ამ დაბრკოლებათა შორის იყო აქაც, როგორც ყოველგან ჩვენ დ[illegible]ლობაში, უფულობა. რასაკვირველია, ასხვრად მძინარე ქუთათური ინტელიგენციის ენერგია და გულწრფელი სიყვარული საერთო საქმისადმი იმდენად ძლიერი არ იყო, რომ მათ ეს დაბრკოლება მოეშორებინათ თავიდან..

სწორედ ეს დაბრკოლება მოსპობილია — მოსპობილია იგი იმ პატიოსან ადამიანთა მეცადინეობით, რომელნიც სულაც არ აღიარებენ თავს ქვეყნის მარილად, ერის წინამძღოლად, მაგრამ რომელთაც შერჩენიათ საღი სული და გული; მათ თავიანთ ინტერესებისადმი მისწრაფებაში არ დავიწყებიათ აგრეთვე მოვალეობა მამულის წინაშე და სცდილობენ, რომ ნაწილი იმ სიმდიდრისა, რომელსაც მათთან ერთად ქმნის ჩვენი მშრომელი ხალხი, ერის კეთილდღეობას და წინსვლას მოახმარონ.

როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ჭიათურელ მწარმოებელთ შეადგინეს სამრეწველო ამხანაგობა «შავი-ქვა», რომელიც შესდგება რამდენიმე ჯგუფისაგან. ამ ჯგუფთა წარმომადგენელნი ახლა ქუთაისში არიან და დროებით არჩეულ საორგანიზაციო კომიტეტთან ერთად არჩევენ სხვა-და-სხვა კითხვებს.—რამდენიმე დღის წინად ამ წარმომადგენელთა ერთს კრებაზე ირჩეოდა წესდების ის მუხლი, რომელიც მოგების განაწილებას შეეხებოდა. ამ მუხლის განხილვის დროს, თურმე, კომიტეტის ერთმა წევრმა, რომელიც პატიოსანი და ენერგიული მშრომელია ყოველ საქმეში, რომელიც კი საზოგადოებისათვის სასარგებლოდ მიაჩნია, მისცა წინადადება კრებას, სამი პროცენტი (3%) წმინდა შემოსავლისა გადავსდვათ ქუთაისში ქართული გაზეთის დასაარსებლადაო, და ერთ დროით აღმოვუჩინოთ გაზეთს (დაარსების დროს) დახმარება სამასი თუმნითაო. ამ ფრიად ბედნიერს და საქებურ წინადადებას, თურმე, მთელი კრება თანაგრძნობით მიეგება და იგი კიდეც შეტანილი იქმნა წესდებაში.

ეს ამბავი გვანუგეშებს და გვარწმუნებს, რომ ჩვენს ხალხში ჯერ არ აღმოფხვრილა საზოგადოებური ალღო, არ გამქრალა ის საზოგადოებური ძარღვი, რომელიც სხვა დროსა და სხვა პირობებში არა ერთხელ გამოგვიჩენია ქართველებს და რომელიც მიუცილებლად საჭიროა ერის კეთილ-დღეობისა და დღეგრძელობისათვის!

თუ ჩვენს საზოგადოებაში ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ ერთის მხრით ინტელიგენციის აპატიით შეპყრობილ წარმომადგენელთ და მეორეს მხრით კი—ბნელს ელემენტებს, რომელნიც მთელი ერის ინტერესებს თავისს ეგოისტურ მისწრაფებებს უმორჩილებენ, სწოვნიან და ატყუებენ ხალხს და ასე ამ ნაირად ძირს უთხრიან საზოგადოებურ კეთილ-დღეობას და ერის არსებობას,—იმავე დროსვე, იმავე საზოგადოებაში ჩვენ ვხედავთ სხვა, საიმედო ელემენტებსაც, რომელნიც არ არიან ჯერ არც დაღალულნი, არც იმედ-დაკარგულნი და მხნედ და მედგრად მიესწრაფებიან თავიანთ აღნიშნული მიზნისაკენ ისე კი, რომ არ დაარღვიონ თანხმობა პირად და საზოგადოებურ ინტერესთა შორის.

და ასეთ ელემენტებად აღმოჩნდნენ დღეს ზემოთ ხსენებული შავი ქვის მწარმოებელნი და მათი ხელ-მძღვანელნი, რომელნიც ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსნი არიან ისეთი საქმის მოწყობისათვის, რომლის მოწყობასაც აქაური «haut»—«ინტელიგენცია» დიდი ხანია ოცნებობს და ვერ განუხორციელებია ეს ოცნება.

ი.

ტფილისის სამოსამართლო პალატა

გამგეობის წევრთა გასამართლება.

13 დეკემბრის სხდომა

გარდაცვალებულის **გ. გ—მის ევანგულოვის სახელის დამცველი, ნაფ. ვექილი ჩემესოვი.**—ხუთი დღეა პალატა საქმის გამოძიებაშია და ქალაქის მოურავის, აწ მიცვალებულის ევანგულოვის სახელი არ უხსენებიათ აქ. თვით ბრალმდებელსაც ერთხელაც არ მოუხსენებია ის. მხოლოდ ხანდახან იმის სახელის დამცველი თუ ჰკითხავდა რომელსამე მოწმეს და პასუხში იმის სახელს წარმოსთქვამდა. მარტო ეს გარემოება კმარა იმისათვის, რომ კაცმა სთქვას, რამდენად განსაკუთრებული და ახირებული ადგილი დაუჭერია ევანგულოვს ამ საქმეში, რამდენად უადგილოა იმაზე ბრალის დება, რომელიც ასე თუ ისე სხვა ბრალდებას მიაკერეს. ყოველს შემთხვევაში ცხადია ერთი —მიცვალებულს ევანგულოვს ცალკე ბრალი არ ედება, მაგრამ თუ იმას სხვებთან ერთად რისამე ბრალი ედება, ამისთანა ბრალდების სინამდვილით დამტკიცებისათვის საჭიროა შემდეგი პირობები: დაუდევრობისათვის, ე. ი. ისეთი მოქმედების შეუსრულებლობისათვის, რომლის მოვალეა წევრი კოლეგიისა, მხოლოდ მაშინ შეიძლება პასუხის გება, თუ ამ მოქმედების ასრულების გამო კოლეგიას ბრძანება მოუვიდა, ამ შემთხვევაში ქალაქის გამგეობას. ამისთანა ბრძანება კი ან თვით კანონს შეუძლია, ან იმ მთავრობის, რომელსაც ამას კანონი ავალებს. ამ საქმეში თითქმის არც ერთი მოქმედება, რომლის შეუსრულებლობაში ამტყუნებენ ევანგულოვს, როგორც გამგეობის წევრს, გამგეობას არ ეკუთვნის, არც დავალებული აქვს მას საბჭოს გადაწყვეტილებითა, თუ ინსტრუქციით. საქალაქო დებულების მე 98 მუხლის ძალით მხოლოდ საბჭოს ინსტრუქციით შეეძლება დაევალოს გამგეობას, რომელი საქმეები უნდა გაარჩიონ კოლეგიურად და, თუ ამგვარად დავალებულს საქმეებში შეენიშნათ გამგეობის წევრთ დაუდევრობა, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ყველა იმათ ერთად პასუხის გებაში მიცემაზე. ბრალმდებელმა ჯერ დაგვიმტკიცოს, რომ იმ საქმეების შესახებ, რომლის დაუდევრობაში იმათ ამტყუნებენ, საბჭოსაგან მართლა იყო ინსტრუქცია გამოცემული, რომ ის საქმეები გამგეობის წევრთ კოლეგიურად უნდა გაერჩიათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მთელს გამგეობას ბრალი დადოს დაუდევრობისა. სანამ ეს იქნება, მანამდე იმ ბრალდებით დაკმაყოფილდეს ბრალმდებელი, რომელიც მან ცალკ ცალკე, სათითაოდ გამოუცხადა გამგეობის წევრთ, როგორც ქალაქის საქმეთა ცალკე დაწესებულებების მმართველთ.

ისიც უნდა ავხსნათ, ჰქონდა თუ არა განსვენებულ ევანგულოვს დრო იმისა, რის აუსრულებლობას მას სწამებენ. ქალაქის მოურავად ის აირჩიეს 1898 წლის თებერვალში, მარტში იმპერატორის ალექსანდრე მე II ძეგლის კურთხევას დაესწრო მოსკოვში, როგორც ქალაქის წარმომადგენელი; ჩამოვიდა თუ არა ტფილისში, ავად გახდა და საზღვარ-გარეთ წყლებზე წავიდა, ამის შემდეგ კი ქალაქების თვითმართველობათა მოქმედების შესასწავლად გაჰგზავნეს პეტერბურგსა და მოსკოვს. ასე რომ ქალაქის მოურავის თანამდებობას ის ხუთი, თუ ექვსი თვე ასრულებდა. მოწმემ, ქალაქის მდივანმა, ჭრელაშვილმა კარგად სთქვა, რომ 1997—1898 წლებში ევანგულოვი ნამდვილად ჯერ არც კი ყოფილიყო თავის თანამდებობის ამსრულებელი. მერე იმდენად მძიმეა ეს თანამდებობა, რომ გამგეობის წევრმა შესტაკოვმა ასე სთქვა: ვისაც უნდა ქალაქის საქმეების წარმოება იმდენად მაინც გაიცნოს, რომ შეიძლოს საქმის წინ წაძღოლა, საჭიროა წელიწად ნახევარი სამსახურიო. უსაქმობის ბრალი ედება იმ ევანგულოვს, რომლის შესახებ მოწამემ, ტფილისის გუბერნატორად ყოფილმა, ბიკოვმა ასე სთქვა, რომ ევანგულოვი ერთიანად სულ მუშაობდა, შრომობდაო, და ამისთანა კაცად იგი იცნობდა მიცვალებულს 30 წელიწადი. ამისთანად დარჩა ის ქალაქის მოურავობაშიაცო. ბრალმდებელი ჰფიქრობს, რომ წვრილმან თავმოყვარეობით მოუვიდა კარგად შემოსავლიანი ადგილი ადვოკატისა ქალაქის მოურავობაზე რომ შეცვალაო. მაგრამ არა, პირ-იქით, კეთილ-შობილურმა თავმოყვარეობამ და თავის სამშობლო ქალაქისათვის სამსახურის სურვილმა გამოიწვია იგი, რომ ამით დაწინაურებულიყო, კეთილი და ჩინებული სახელი მოეხვეჭა.

—

პროკურორის ამხანაგმა დემერმანმა თავის მეორე სიტყვაში ნაწილ-ნაწილ არ გაარჩია დამცველთა სიტყვები, მხოლოდ სთქვა, რომ იგი სრულებით იმას არ ამტკიცებს, ვითომც გამგეობას არა გაეკეთებინოს რა; უარს ვინ ამბობს—მუშაობდა. ბრალმდებელი იქნება დიდადაც აფასებს გამგეობის წევრთა მოხსენებებს და შრომას, მაგრამ განა მარტო ეს უნდა ეკეთებინა ქალაქის გამგეობას? სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეს შეუძლიან ნაწილი თავისის საქმისა ხვალისათვის გადასდვას, გამგეობას კი ეს არ შეუძლია, რადგან ამ შემთხვევაში თუ იგი ქალაქის მეურნეობის ერთ-ერთ დარგს მიაქცევს თავის ყურადღებას, მაშინ ქალაქის ინტერესები შეფერხდება. წარმოიდგინეთ, ბ-ნო მსაჯულნო, დიდი ქარხნის მმართველი, რომელიც მთელს თავის ყურადღებას მარტო იმას მიაქცევს, რომ ქარხანასთან საავადმყოფო, სკოლა და სხვა ამისთანაები გამართონ და ამავე დროს ქარხნის უსაჭიროესს მხარეს ცოტა ყურადღებას მიაქცევს —მისს წარმოებას, ქარხნიდან გამოსულ მასალის თვისებას და სხვა. განა შეიძლება ამისთანა მმართველის მოქმედება გაამართლოს კაცმა, რა გინდ საკეთილო და სასარგებლო იყოს მუშებისათვის სკოლის გახსნა, საავადმყოფოსი, თუ სხვა? ყველა მუშა ტაშის-ცემით მიეგებება ამისთანა მმართველს, მაგრამ არა მგონია ქარხნის პატრონმა იმას ქება შეასხას.

დამცველები ამბობენ, რომ წინადაც ყოფილა ყველა ის ნაკლი, რომელიც ამ ჟამად ქალაქის გამგეობას ბრალად ედება, მაგრამ რაც ყოფილა წინად, ის ეხლა ტფილისის სამოსამართლო პალატის გასარჩევი არ არის; ეს მთავრობის საქმეა, სწორედ ისე, როგორც სამართალს მიეცნენ მხოლოდ 1897—1898 წლების გამგეობის წევრნი. ამბობენ, რომ უკეთესად საქმის წარმოებისათვის გამგეობას დრო არ ჰქონდაო; იმასაც ამბობენ, ქალაქის საქმეების მხოლოდ გაცნობისათვის დიდი დრო—წელიწადი-ორი უნდაო. მეც ვამტკიცებ, რომ სწორედ იმისათვის, რომ გამგეობაში ახლად შემოსულმა კაცმა შესვლისთანავე შესძლოს იქაურ საქმეების ვითარება გაიცნოს, სწორედ საჭირო იყო ქალაქის მეურნეობის უკეთესად წარმოება, მაგრამ გამგეობა სწორედ ამას არ ასრულებდა. განა გამგეობის წევრთა ნაშრომით, რომელიც აქ წარმოადგინეს, ყველა იმ მოხსენებებათა და სხვა შეუძლიათ აჰკრიბონ იმდენი აუარებელი დარჩენილი ხარჯი, რომელიც ქალაქის კასაში არ შესულა? არა, ყველა ეს შეიძლება იხმაროს სასამართლომ დამნაშავეთა ყოვლად პატივსადებ მოღვაწეობის შემამსუბუქებელ მასალად; მაგრამ ისინი მაინც დიდ შეცდომას ჩადიოდნენ, როცა მხოლოდ მარტო ამ გვარ მოღვაწეობას ანდომებდნენ მთელ თავის დროს.

—

ნაფ. ვექილი კრასოვსკი.—ბრალმდებელის მეორე სიტყვა იმდენად გამამტყუნებელი არ იყო, რამდენად გამამართლებელი. დღეს დაცინვით აღარ იხსენიებს ბრალდებულთა მოღვაწეობას, პირ-იქით, ამბობს, რომ იმათი მოღვაწეობა პატივსაცემია და ნაყოფიერიო, მაგრამ მაინც ითხოვს თქვენგან, ბ-ნო მსაჯულნო, ამათ გამტყუნებას იმ მოსაზრებით, რომ ამ მოღვაწეობაში ისეთი რამ არის, რომელიც ბრალმდებელს რიგიანად მაინც არ მიაჩნია. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ასე გამოდის: რაც ნაყოფიერია ამათ მოღვაწეობაში, იმას ყურადღებას ნუ მიაქცევთო, დაივიწყეთ ის განუზომელი შრომა-მოღვაწეობა ბრალდებულთა, რომელიც მათ თავის სამშობლო ქალაქის სამსახურში გამოიჩინეს, და არა თუ თქვენი ყურადღება, მთელი თქვენი რისხვა მოიკრიბეთ და იმ ცოტაოდენ ნაკლულევანების გაკიცხვაში მოიხმარეთ, რომელიც გამგეობის კანცელარიაში აღმოუჩენიათ და მთელის გამამტყუნებელ ოქმიდან მხოლოდ-ლა ეს დარჩენია ხელში ბრალმდებელს. თქვენ რომ იმის უფლება გქონდეთ, მოღვაწეობის ერთ მხარეს რომ სჯით, იმავე დროს მეორე მხარე დააჯილდოვოთ, მაშინ მესმის ამისთანა დანაწილება, თუმცა აქაც უნდა ჩაეთვალოს კაცს ერთი საქმე მეორეში. მაგრამ დასაჩუქრება თქვენ არ შეგიძლიათ, მაშ როგორ გასაკვირველი არ უნდა იყოს წამოყენება დიდი ხანია დავიწყებულის პრინციპისა „ოღონდ სიმართლემ გაიმარჯოს და თუნდ ქვეყანა დაიქცეს», და მოითხოვოს, რომ თქვენ გაჰკიცხოთ საზოგადოების ისეთი მოღვაწენი, რომელთა სარგებლობა, შრომის-მოყვარეობა, უანგარობა და უმეტესად განუზომელი ერთგულება საქმისადმი არ შეგიძლიათ არ აღიაროთ.

მეორე არა ნაკლებად გასაკვირველი აზრი ბრალმდებლისა თქვენ მიერ თავისუფლად დაფასებას შეეხება ყველა იმ მასალისა, რომელიც თქვენს ხელშია ამ ჟამად. როცა მე შევნიშნე, რომ ბრალდებულთ აწეწილი საქმეები ქალაქისა წინა-მოადგილეთაგან მიიღეს და იმათ უნდა ვაკუთნოთ დღევანდელი საყვედურები მეთქი, ამის პასუხად პროკურორი გვეუბნება, რომ ბრალდებულთა წინამოადგილეთა წინააღმდეგ მთავრობას არ შეუყენებია საქმე და ამისათვის თქვენ არც კი შეგიძლიათ ამ მხრით შეეხოთ ამ საქმესაო. არა მგონია, თქვენ მართლაც ამ გზას დაადგეთ: სიმბოლიურად სამართალი თვალებ ახვეულია, მაგრამ ხელ-ფეხზე ჯაჭვების ბმა ჯერ არავისაც არ განუზრახავს.

—

მეორე სიტყვა ნაფ. ვექილის ტესლენკოსი.—ბრალმდებელს დღეს ვერ ვცნობილობ. გუშინ გამამტყუნებელ ოქმის მუხლების მიყოლებით განმეორება იყო. გუშინ სულ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ ქალაქს აუარებელი ზარალი მიეცა და იმის სამეურნეო გამგეობაში ყველგან არეულობა იყოო. ბრალმდებელმა იმის შესახებაც კი გამოაცხადა მწუხარება, რომ არ შეუძლიან ბრალდებულნი რაღაც არა—სასამართლოს კანონების ძალით პასუხის გებაში მისცეს. ეხლა კი ბრალმდებელისაგან ასეთი სიტყვები გვესმის: „პატივცემული მოღვაწენი, რომელთაც ბევრი უშრომიათ“... და სხვა. ცხადია, თვითონ ბრალმდებელს სწამს, რომ გამგეობა ბევრს მუშაობდა. სად არის „დაუდევრობა?“ გამგეობის წევრთ ყველაფერი უნდა აკეთონო და მართლაც ყველაფერს აკეთებდნენ—ეს ხომ დამტკიცდა. სახელმწიფოს დაწესებულებათა მოხელე თუ ერთ ქაღალდს არ შეასრულებს, როცა ოცი სხვა წინ უძევს, შეუძლია თავი იმართლოსო, გამგეობის წევრს კი არ შეუძლია, რადგან თავის დროს თითონვე ანაწილებსო. რამდენიც არ ანაწილო, დღე-ღამეში 24 საათზე მეტს ვერ გაანაწილებ და გამგეობის წევრი შესაძლებელზე მეტს ხომ ვერ შესძლებს. პროკურორი ამბობს, რომ საქმეების გაცნობისათვის სამაგალითოდ საქმის წარმოებაა საჭირო, საიდანაც გამგეობის წევრს ყველაფერი ცხადად შეუძლია დაინახოსო, მაგრამ ერთი ავიწყდება, რომ გამგებელმა საქმის წარმოებაში კი არ უნდა ჩადოს თავი, პირ-იქით, საქმის წარმოება თავში უნდა ჰქონდეს. ყველა ამას დრო უნდა. ჩვენ შევეკითხეთ ბრალმდებელს, რისგან მოხდა, რომ გამგეობის მოქმედებიდან მხოლოდ ერთი წლისა და ცხრა თვის ხანა ამოუგლეჯიათ? რისთვის თხოულობენ, რომ სწორედ ამ დროის განმავლობაში უნდა მოეწესრიგებინა გამგეობას ქალაქის საქმეები? დიახ, სწორედ საგულისხმიერო საკითხია და იგი თავის პასუხს მოითხოვს! ბრალმდებელმა გვიპასუხა—„ასეთი იყო მთავრობის განკარგულებაო“. მე მეგონა, კარგად ვერ გავიგონე მეთქი, მაგრამ არა, პროკურორმა განიმეორა—„ასეთი იყო მთავრობის განკარგულება“. რომელი მთავრობის? გამამტყუნებელი ოქმი ხელ-მოწერილია თვითონ ბრალმდებელისაგან. სასამართლოში არავითარ მთავრობას არა აქვს ადგილი გარდა სასამართლოს მთავრობისა და პროკურორისა.

წინად პროკურორის ამხანაგი ამტკიცებდა—ქალაქმა აუარებელი ზარალი ნახ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა კი ამბობს, ტფილისის კეთილ მდგომარეობა სრული არ არისო. ეს ხომ სულ სხვა გამოდის: ერთიანად კეთილ-მდგომარეობაში რომელი ქალაქია, რომ ამისათვის კერძოდ ვინმე ვამტყუნოთ. იმ დაწესებულების მოქმედება, რომელიც საკუთარის თვით-მმართველობით წარმოებს, მეტად რთულია და ერთი მეორის ნაწილებისაგანაა დამოკიდებული. გუბერნატორმა ბიკოვმა სთქვა აქ, რა განსაკუთრებული ცუდი გარემოებანი თან სდევს ქალაქის თვით-მმართველობას. დარწმუნებული ვარ, ბრალმდებელის საბუთები სრულიად დარღვეულია. ის ეხლა ცალკე ბრალმდებელს კი არ დაეძებს, თქვენ, ბ-ნო მსაჯულნო, უნდა დასდოთ იმას მსჯავრი, წესიერი იყო, თუ ურიგოა ტფილისის თვით-მმართველობის მოღვაწეობა, კარგია თუ ცუდი საქალაქო დებულება. არა, ამის გადაწყვეტას არ შეუდგებით თქვენ! თქვენ უნდა გაასამართლოთ ცოცხალი ადამიანები, თქვენ უნდა აღიაროთ, უმუშავნიათ იმათ, თუ არა, უკეთებიათ ის, რაც საჭიროა, თუ არა. ეს ადამიანები მწუხარებით იტანენ იმ ბრალდებას, რომელიც მათ შესწამეს. იჭვს გარეშეა, რომ თქვენ ამათ გაამართლებთ.

საღამოს დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 დეკემბერი.

კრემენჩუღი. ქალაქის გამგეობის წევრს გლისეევს კრემენჩუგის 2 ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ უწესო საქციელისათვის მიუსაჯა შვიდი დღით დაპატიმრება, ხოლო შეურაცხყოფისათვის—თორმეტის დღით.

ბაქო. 18 დეკემბერს გაიხსნა «სევერნი» ბანკის განყოფილება, რომელიც აწარმოებს პეტერბურგ-აზოვის ბანკის ბაქოს განყოფილების საქმეებს, რომელიც იხურება.

«გასპის» ატყობინებენ რეშტიდან 15 დეკემბერს, რომ იქ, რუსეთის საგენერალო ელჩის და სპარსელების მთავრობის დასწრებით, გაიხსნა გამსესხებელი ბანკის განყოფილება სპარსეთში.

ლონდონი. შეერთებული შტატების მთავრობა სრულიად არ ერევა გერმანიის მისწრაფებაში, რომ განახორციელოს თავის მოთხოვნილებანი.

პრეტორია. გენერალმა სმუნსმა, რომელიც გუშინ საღამოს გაემგზავრა ბრიტანიის რაზმით, გაიარა დიდი მანძილი, რის შემდეგაც ტყვედ წაიყვანა 28 ბური და 600 სული საქონელი.

ათინა. მაჰმუდ-დამად-ფაშა წავიდა კორფუში, ათინაზე გაიარა და გასწია საფრანგეთისკენ.

კილი. დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლით 18 დეკემბერს საღამოს წავიდნენ დარმშტატში. პრინცი ჰენრიხ და პრინცესა ირენა მიჰყვებოდნენ უმაღლეს სტუმრებს ვოკზალამდის, სადაც იმყოფებოდა კრეისერ «ასკოლდის» მთელი ოფიცრობა, რომელნიც ეთხოვებოდნენ დიდ მთავრებს.

ბერლინი. თავადმა ჩარტორიჟსკიმ პოლონელი დეპუტატების სახელით შეიტანა განცხადება შესახებ ვრეშენში მოხდენილ ამბავისა. ეს განცხადება წარმოადგენს, უწინარეს ყოვლისა, უსაფუძვლოდ უცხოთა გერმანელების საქმეში გარევას.

პარიზი. «ფიგაროს» საქმის გამო პირველმა პალატამ შეიწყნარა გარდაწყვეტილება. გარდაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ უკანასკნელი საგანგებო კრება დასრულებული იყო, და რომ რომ, თანხმად ამ კრების გადაწყვეტილებისა, დირექტორებმა პერივიემ და დე-როდემ ერთი კვირის განმავლობაში უნდა გადასცენ გაზეთ «ფიგაროს» ხელმძღვანელობა ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეს.

პეტერბურგის ბირჟა 18 დეკემბერს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ზე	93,65
ბერლინზე 100 მარკაზე	$45,92^1/_2$
პარიზზე 100 ფრანკზე	—
ლონდონზე ჩეკები	94,50
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	$37,57^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5^1/_2$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	479 მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$365^1/_2$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$248^1/_2$ „
$3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$87^5/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82 „
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	$87^1/_4$ „
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ხლ. ჯაბადარი.

განცხადებანი

გამოვიდა ძმ. თავართქილაძეების გამოცემული:

1) კედლის კალენდარი
40 კაპ.

2) «საყოველთაო კალენდარი»
20 კაპ.

შინაარსი: კალენდარი მართ-მადიდებელთა, კათოლიკეთა და გრიგორიანთა. საცისკრო სახარება მღვდელთათვის სახელმძღვანელო, დარ-ავდარი, მთვარის ანგარიში, ოჯახში სახმარებელი ცნობანი და მეურნეობა, საქონლის წამლობა და სხვა-და-სხვა...

სალიტერატურო ნაწილში არის სხვათა შორის „მოსე მწერალი“ ე. ნინოშვილისა, ნადირობა გ. აბაშიძისა, სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოზისა და სხვა მრავალი.

3) უბის წიგნი კალენდრით
ფ. 30 კაპ.

უმთავრესი საწყობი ბათომში გამომცემლებთან. წვრილად გასაყიდად დარიგებულია ყველა წიგნის მაღაზიებში. (5—5)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
(წელიწადი მეცამეტე)
გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, რიგორც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი «ჯეჯილი» ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Грузинскаго Дворянства, № 101) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Аартиллер. [illegible], № 5, возлѣ кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“

ამხანაგობა „შრომა“
საკუთარ ხეხილეულობის სანერგედან ჰყიდის
ძლიერ იაფად დამყნილ
ნერგებს

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ: აგრ. ლაგოდეხში—კ. ხურიგაინცს; ტფილისში—ბაღოსნობა «ფლორას» მუშტაიდში—ზ. პრილიპკას.
კატალოგი იგზავნება უფასოდ. (20—7)

ყოველ-დღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი
„ივერია“
გამოვა 1902 წელსაც გადიდებული ფორმატით
და იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 „	9 „ 50 „	5 „	5 „ 50 „
10 „	8 „ 75 „	4 „	4 „ 75 „
9 „	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 „	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „	1 „	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზე შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელის-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან; პირველ მარტს — 2 მან; პირველ მაისს — 3 მან. და პირველ სექტემბერს — 2 მან.

ფასი განცხადებისა:
მეოთხე გვერდზე თითო ჯერ სტრიქონი—5 კაპ., პირველზე—10 კაპ..
გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი, „ივერიის“ რედაქციას ნიკოლოზის ქუჩა № 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქ., თავად-აზნაურობის სახლი.
საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ Редакція „ИВЕРІА.“
დროებით რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

1902 г. ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ Годъ XX
Карсской области
ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГАЗЕТУ
„КАРСЪ“
На будущій 1902 годъ.

Газета «Карсъ» въ 1902 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ 1901 году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ: съ доставкою и пересылкою 3 руб. въ годъ.

ПОДПИСКА принимается въ редакціи газеты „Карсъ“, въ городѣ карсѣ, куда адресуютъ свой требованія и иногородные.

Дазета „Карсъ“ имѣетъ ближайщею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройстія. (ზ. 3—1)

Открыта подписка на 1902 годъ
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧЕСКУЮ, ЛИТЕРАТУРНУЮ И ЭКОНОМИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ:
„НОВОСТИ“
и на художественный журналъ
„ПЕТЕРБУРГСКАЯ ЖИЗНЬ“
Изданіе акціонернаго общества „ГУТТЕНБЕРГЪ“

Подписка на „НОВОСТИ“ въ 1902 году на 1-е (большое) изданіе безъ доставки: на годъ 14 р. 50 к., на 11 м. 13 р., на 10 м. 12 р., на 9 м. 10 р. 50 к., на 8 м. 9 р. 80 к., на 7 м. 9 р., на 6 м. 8 р., на 5 м 6 р. 80 к., 4 м. 5 р. 50 к., 3 м. 4 р., 2 м. 2 р. 80 к., 1 м. 1 р. 50 к. Съ доставкой по городской почтѣ: на годъ 16 р., на 12 м. 15 р., на 10 м. 13 р. 50 к.. на 9 м. 12 р., на 8 м. 11 р., на 7 м. 10 р., на 6 м. 9 р., на 5 м. 7 р. 50 к., на 4 м. 5 р. 80 к., на 3 м. 4 р. 50 к., на 2 м. 3 р. 30 к., на 1 м. 1 р. 80 к. Съ пересылкой иногороднымъ: на годъ 17 р., на 11 м. 15 р. 50 к., на 10 м. 14 р. 50 к., на 9 м. 13 р. 50 к., на 8 м 12 р. 50 к., на 7 м. 11 р. 30 к., на 6 м. 10 р., на 5 м. 8 р. 50 к., на 4 м. 7 р., на 3 м. 5 р. 50 к., на 2 м. 4 р., на 1 м. 2 р. За границу: на годъ 26 р. 20 к., на 11 м. 24 р. 50 к., на 10 м. 23 р., на 9 м. 21 р., на 8 м. 18 р. 50 к., на 7 м. 16 р., на 6 м. 14 р., 5 м. 12 р., на 4 м. 10 р., на 3 м. 8 р., на 2 м. 6 р., на 1 м. 3 р. 50 к.

Разсрочка платежа годовой подписной цѣны допускается: для служащихъ—по третямъ, черезъ ихъ казначеевъ, а для другихъ лицъ—по соглашенію съ конторою. Деньги и письма адресуются: Петербургъ, въ контору газеты „НОВОСТИ“, Б. Морская, № 17. Адресъ телеграммъ: Петербургъ „Новости“.

Условія отдѣльной подписки на иллюстрированный журналъ
„Петербургская Жизнь“
(Выходитъ два раза въ недѣлю)

ПОДПИСНАЯ цѣна ЖУРНАЛА: безъ доставки и пересылки: на 1 годъ—5 р., на 6 мѣс.—3 р., на 3 мѣс.—1 р. 75 к. Съ доставкою и пересылкою: на 1 годъ—6 р., на 6 мѣс. 3 р., на 2 мѣс.—1 р.

От конторы газеты „НОВОСТИ“. Выяснившаяся въ послѣдніе годы потребность въ общедоступномъ политическомъ и литературномъ органѣ вынуждаетъ издателей большихъ газетъ и журналовъ итти ей на встрѣчу и, поступаясь своими матеріальными интересами, понизить подписныя цѣны этихъ изданій съ такимъ расчетомъ, чтобъ они стали доступными всѣмъ, безъ исключенія, читателямъ, сознательно интересующимся общественной и государственной жизнью. Пониженіе подписной цѣны второго изданія газеты „Новости“, безъ измѣненія ея формата и содержанія большой политической газеты,—первая серьезная попытка въ этомъ направленіи, основанная на вѣроятности значительнаго увеличенія числа ея подписчиковъ. Будемъ надѣяться, что расчетъ этотъ оправдается въ полной мѣрѣ.

Съ перваго января 1902 года
подписная цѣна на второе изданіе политической, литературной и экономической ежедневной газеты
„НОВОСТИ“
ВМѢСТѢ СЪ ЖУРНАЛОМЪ
„ПЕТЕРБУРСКАЯ ЖИЗНЬ“
(выходящимъ два раза въ недѣлю), безъ измѣненія формата и содержанія газеты,
ЗНАЧИТЕЛЬНО ПОНИЖЕНА
ДЛЯ ИНОГОРОДНЫХЪ ПОДПИСЧИКОВЪ
6 (вмѣсто 11 рублей).
рублей на 12 мѣс., 3 руб. 50 коп. на 6 мѣс., 2 руб. 20 коп., на 3 мѣс.
и 75 коп. на 1 мѣс.

Желающіе ознакомиться съ газетой и журналомъ и въ текущемъ 1901 г. могутъ подписатся на нее, по вышеуказаннымъ цѣнамъ, на одинъ годъ, два и три мѣсяца (начиная съ 1-го числа каждаго мѣсяца). Въ газетѣ и журналѣ принимали и принимаютъ участіе: Анненкова-Бернаръ, Н. П.—Антокольскій, М. М.—Антроповъ, Р. Л.—Арепьевъ, Н. Ф.—Баранцевичъ, К, С.—Бентовинъ, Б. И.—Бирюковичъ, В. В.—Боборыкинъ, П. Д.—Быстренинъ, В. П.—Бѣловъ, В. Д.—Василевскій, И. Ф. (Буква).—Ватсонъ, М. В.—Вейнбергъ, П. П. Венгеровъ, С. А.—Венгерова, З. А.—Верещагинъ, В. В.—Веселовская, А. А.—Веселовскій, А. Н.—Веселовскій, Ю. А.—Головачевъ, А. А.—Городецкій, М. Б.—Далматовъ, В. П.—Ермиловъ, В. Е.—Исаевъ, А. А.—Капнистъ, Ида, гр —Карцевъ, Е. Е.—Кауфманъ, Ил. И.—Карабчевскій, Н. П.—Кулишеръ, М. И.—Красновъ, Пл. Н.—Кудряшевъ, М. И.—Кюи, Ц. А.—Ламанскій, Е. И.—Ларошъ, Г. А.—Ломброзо, Чезаре.—Лондонъ, Е. В.—Мантегацца, Паоло—Минскій (Виленкинъ), Н. М.—Мордовцевъ, Д. Л.—Морозовъ, П. О.—Недзвѣскій, В. І.—Немировичъ-Данченко, В. И.—Никитинъ, В. Н.—Никольскій, Д. П.—Оболенскій, Л. Е.—Оршанскій, И. Г.—Острогорскій, В. П.—Песковскій, М. Л.—Писаревъ, М. И.—Плющикъ-Плющевскій, Я. А.—Покровская, М. И.—Полонскій, Л. А.—Радцигъ, А. А.—Ракшанинъ, Н. О.—Рейнгольдъ, А. А.—Рапопортъ, С. И.—Сафоновъ, С. А. (Печоринъ).—Семеновъ, Е. П.—Сильчевскій, Д. П.—Скабичевскій, А. М.—Слобожанинъ, Е. Д.—Спасовичъ, В. Д—Стасовъ, В. В.—Трачевскій, А. С.—Умановъ-Каплуновскій, В. В.—Ферреро, Гулельмо.—Фирсовъ, Н. Н. (Рускинъ).—Фламаріонъ, Камиллъ.—Фроловъ, В. К.—Хирьяковъ, А. М.—Цѣховская, В. Н.—Чюмина, О. Н.—Шумковъ, В. В.—Энгельгардтъ, М. А.—Яблоновскій, А. А.

Контора газеты „НОВОСТИ“: С.-Петербургъ, Бол. Морская № 17. При конторѣ газеты „Новости“ существуетъ книжный магазинъ, услугами котораго подписчики „Новостей“ пользуется на льготныхъ условіяхъ. (ზ. 3—1) Отвѣственный редакторъ-издатель О. К. НОТОВИЧЪ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Декабря 1901 г.

ელექტრონით მოძრავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.